ნინო გვენეტაძე:

სასამართლო ხელისუფლება მაღალ სტანდარტს იცავს

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 5 აპრილი. 2017 წ. №71 (8208), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი კომენტარი „რუსთავი-2“-ის საქმეზე

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ „რუსთავი-2“-ის საქმეზე გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა. ნინო გვენეტაძის თქმით, „რუსთავი-2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და განჩინება მხარეებს დღეს ჩაბარდებათ.

„ყველა კითხვაზე პასუხი, რომელიც თქვენ გაწუხებთ ან საზოგადოებას აინტერესებს, არის გადაწყვეტილებებში და იმ განჩინებებში, რომელიც დღეს იქნება მხარეებისთვის ჩაბარებული. სასამართლო ხელისუფლება იცავს იმ მაღალ სტანდარტს, რომელიც არა მხოლოდ ეთიკური პრინციპია, არამედ საკანონმდებლო მოთხოვნაა, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე არ ყოფილიყო კომენტარი გაკეთებული,“ — განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლეები, არასამთავრობოები და დეპუტატები გუშინ სასამართლოს სტრატეგიაზე მსჯელობდნენ.

აკაკი ლაბარტყავა:

კონსტიტუციამ მიწა განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ უნდა აღიაროს

6

გუგული მაღრაძე:

მეტი ქალი უნდა იყოს ეკონომიკასა და მმართველობაში...

3

საშენებლო ხარვეზები დევნილთა დასახლებებში

5

აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს მხარს უჭერს

ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) მორიგი სოციოლოგიური კვლევის შედეგებს აქვეყნებს. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს მხარს უჭერს.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას სრულად უჭერს მხარს გამოკითხულთა 64%, ნაწილობრივ — 26%, ნაწილობრივ არ უჭერს მხარს — 3%, ხოლო კატეგორიულად წინააღმდეგია ასევე 3%. გამოკითხულთა 3%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

რაც შეეხება საქართველოს გაწევრიანებას ნატოში, მას გამოკითხულთა 56% სრულად უჭერს მხარს, 26% — ნაწილობრივ, 6% — ნაწილობრივ ეწინააღმდეგება, 7% — კატეგორიულად ეწინააღმდეგება. გამოკითხულთა 5%-ს კითხვაზე პასუხი არა აქვს.

ინსტიტუციების რეიტინგი — პოლიცია პოზიციებს კარგავს!

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის ოფიციალურ შედეგების თანახმად, კითხვაზე — შეაფასეთ საქართველოში მოქმედი ინსტიტუციების მუშაობა, დადებითი პასუხები ასე გადანაწილდა:

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია — 88%,
ჯარი — 86 %,
ქართული მედია — 74%,
პოლიცია — 59%,
საქართველოს პრეზიდენტის ოფისი 55%.

რაც შეეხება უარყოფით პასუხებს — გამოკითხულთა 70% საქართველოს ეროვნული ბანკის მუშაობას ასახელებს, ხოლო 71% პოლიტიკური პარტიების მუშაობას.

International Republican Institute
IRI
advancing democracy worldwide

ეს მერამდენე სირცხვილი!

ესპანეთში 17 ქართველი დააკავეს

ესპანური მედია ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრების დაკავების შესახებ წერს. გამოცემა eldiario.es ცნობით, დაკავებულია 17 პირი, რომლებიც, ბარსელონასა და მადრიდში სახლებს ქურდავდნენ.

17 ქართველის გარდა, ერთი სომხეთის მოქალაქეა, რომელიც ნაძარცვი საქონლის რეალიზებით იყო დაკავებული. გამოძიება ესპანეთში მოქმედი ქართული კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ გასული წლის ოქტომბერში დაიწყო და ახლაც გრძელდება.

ნარკომანმა სიძე-ცოლისძმამ განმუხური შეარცხვინა!

სამართალდამცველებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის დასუფთავების სამსახურის უფროსი რობერტ ქებურია დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ის იმ დროს დააკავეს, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ეს სოფელ განმუხურის დასუფთავების სამსახურის უფროსის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო დაკავების მეორე შემთხვევაა. მასთან ერთად დაკავებულია მისი ცოლისძმაც, თუმცა მას დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა-გადაზიდვა ედება ბრალად. გავრცელებული ინფორმაციით, მას 70-მდე აბი სუბოტექსი აღმოაჩნდა.

BMW მარკის მანქანები ისევ ყველაზე სახიფათოა!

11

ტურისტები და სულგაყიდული თაღლითები

ქუთაისის სარკინიგზო გზა აუცილებლად მოუტანს აჭარის რეგიონს უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს

ქუთაისის სარკინიგზო გზისა და სადგურის მშენებლობის პროექტის დაწყებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ეხმიანება. მისი შეფასებით, პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონისათვის.

„ჩვენ მაქსიმალურად ვართ დაინტერესებული ამ პროექტით, იგი მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოსთვის, განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონისთვის. სულ მალე იწყება ტურისტული სეზონი აჭარაში. ქუთაისის აეროპორტის საშუალებით, ზღვის კურორტებზე უამრავი ტურისტი ჩამოდის. ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად დავტვირთოთ ჩვენი რეგიონი და კიდევ უფრო გავზარდოთ ქუთაისიდან შემოსული ტურისტების ნაკადი, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ჩაეყარა საფუძველი და იგი აუცილებლად მოუტანს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს რეგიონს უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს და განვითარებას“, — აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე მთავრობის წევრებთან და სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, 3 აპრილს, ქუთაისში აეროპორტთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზისა და სადგურის მშენებლობის დაწყების ცერემონიასაც დაესწრო.

თბილისი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქალაქია ინვესტორებისთვის!

„საქართველო და განსაკუთრებით თბილისი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია ინვესტორებისთვის. ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე საინვესტიციო პროექტი, როგორიცაა: სასტუმროები, საცალო გაყიდვები და სავაჭრო ცენტრი. არაბი ინვესტორები ცდილობენ შეისწავლონ კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები და ამ მხრივ, თქვენი ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც იცით, არსებობს პირდაპირი ფრენები საქართველოსა და საამიროებს შორის. ყოველწლიურად იზრდება არაბი ტურისტებისა და ვიზიტორების რიცხვიც. თქვენი ქალაქი არაჩვეულებრივია, ხალხი კი სტუმართმოყვარე. აუცილებლად უნდა განვაგრძოთ მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. ჩვენი, როგორც მთავრობის როლი არის კერძო სექტორისთვის ხელის შეწყობა და დაბრკოლებების შემთხვევაში დახმარება. ამიტომ, მსურს მადლობა გადავუხადო თქვენი ქვეყნის და დედაქალაქის მთავრობებს ყოველწლიურ საინვესტიციო შეხვედრაში მონაწილეობისთვის“, — განაცხადა არაბეთის გაერთიანებული საამიროების ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ თბილისის მერთან დუბაის ყოველწლიური საინვესტიციო ფორუმის (AIM 2017) ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე.

დავით ნარმანიამ, თავის მხრივ, მინისტრის მოადგილეს გამოხატული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და რამდენიმე მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტი წარუდგინა, მათ შორის: მრავალდონიანი ავტოსადგომების მშენებლობისა და თბილისის ზღვის განვითარების გეგმის, ასევე, ვარკეთილში, 70 ჰა ტერიტორიის განვითარების, სასტუმროების მშენებლობისა და მუნიციპალური ამბულატორიების განახლების პროექტები.

მხარეებმა ღიად დააფიქსირეს მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელების მზაობა და შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში თბილისში არაბი ბიზნესმენების დელეგაციის ჩამოსვლა დაიგეგმება.

მოგვიანებით, თბილისის მერი დუბაის ყოველწლიური საინვესტიციო ფორუმის პრეზიდენტს დავუდ ალ შეზავის შეხვდა, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისში შექმნილი ხელსაყრელი ბიზნესგარემო, მარტივი პროცედურები, დაბალი გადასახადები და მთავრობის მხრიდან კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა ქალაქს ინვესტორებისთვის მიმზიდველს ხდის. მისი თქმით, საინვესტიციო ფორუმის ორგანიზატორები თბილისში ბიზნეს ჰაბის გახსნის შესაძლებლობას განიხილავენ.

ირაკლი კობახიძე ბანგლადეშის პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა

ბანგლადეშში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მასპინძელი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს შირინ შარმინ ჩაუდჰურის შეხვდა. ბანგლადეშის პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოს პარლამენტის დელეგაციას ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა.

მხარეებმა ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. შირინ შარმინ ჩაუდჰურის განცხადებით, ბანგლადეშისთვის საქართველოსთან აქტიური თანამშრომლობა მნიშვნელოვანია. ქართულმა მხარემ ბანგლადეშის პარლამენტის თავმჯდომარეს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები გააცნო. შეხვედრაზე, ასევე, საქართველოს ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალი განიხილეს. ირაკლი კობახიძემ და შირინ შარმინ ჩაუდჰურიმ აქტიური საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელობა აღნიშნეს და გაცვლით ვიზიტებზე შეთანხმდნენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის ქართული მოდელი ინდონეზიელთათვის

იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ბარამიძემ **ინდონეზიის იუსტიციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მინისტრი იასონა ლაოლი მიიღო. ალექსანდრე ბარამიძე დელეგაციის წევრებს იმ რეფორმების შესახებ ესაუბრა, რომლებიც ქვეყანაში იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით ხორციელდება.**

მხარეებმა ისაუბრეს სასამართლოსა და პროკურატურის რეფორმის შესახებ. დელეგაციის წევრები გაეცვნენ ადამიანის უფლებათა სტრატეგიის სამოქმედო გეგმას, ისაუბრეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და ბავშვთა უფლებების კუთხით გაწეულ სამუშაოებზე — მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე.

პრეზიდენტთან სადებატო არაფერი არ გვაქვს!

პრეზიდენტთან სადებატო, ვფიქრობ, არაფერი არ გვაქვს მთავრობას, — ამის შესახებ განცხადება ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ ჟურნალისტებთან გააკეთა. მისი თქმით, პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით დაესწრება, თუმცა მისთვის უცნობია, როგორი იქნება პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატი.

„ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულები ევროკავშირის ელჩს შეხვდნენ

მოვაჭრეებმა **მათ პრობლემის შესახე ინფორმაცია მიაწოდეს და დახმარება სთხოვეს. ევროკავშირის წარმომადგენლებმა დაზარალებულებისგან დამატებითი დოკუმენტაცია მოითხოვეს და საკითხში გარკვევას დაჰპირდნენ.**

მოვაჭრეები თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებთანაც მართავენ შეხვედრას. ისინი მათგან საკომპენსაციო თანხის გაცემის თაობაზე კონკრეტული პასუხის მიღებას ითხოვენ.

გელა ხვედელიძეს მეორე ოპერაცია დასჭირდა

შს მინისტრის ყოფილი მოადგილის გელა ხვედელიძის მეორე ოპერაცია „ნიუ ჰოსპიტალში“, გვიან ღამით დასრულდა. თვალის შემდეგ ექიმებმა ქირურგიული ჩარევა საჭიროდ ქვედა ყბაზე ჩათვალეს. მედიკოსების თქმით, პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

„დაესვა დიაგნოზი — სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა და თვალბუდის მოტეხილობა მარცხენა ნახევარში. ჩატარდა ოპერაცია სახის ძვლების რეპოზიცია ფიქსაცია ტიტანის ფირფიტებითა და მემბრანის გამოყენებით. ასევე ჩატარდა ოფთალმოლოგის მიერ თვალზე ოპერაცია,“ — განაცხადა ზურაბ ედიშერაშვილმა.

ბათუმში თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსი აშენდება

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ბათუმში, ლეონიძის ქუჩაზე, სპორტული კომპლექსის მშენებლობას იწყებს. სასტუმრო „რედისონში“ პროექტის პრეზენტაცია ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „სენსონმა“ გამართა. შეხვედრა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ გახსნა: **„მალე ქალაქში თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსი აშენდება. ჩვენ ეს პირობა სასპორტო სკოლის უკან ორ სპორტულ ცენტრში არსებულ სპროტულ სახეობებს მივეცით და მოხარული ვარ, რომ დღეს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა. მალე სპორტის თითოეული სახეობა, რომელსაც დღეს დამსწრე საზოგადოება წარმოადგენს, ახალ ძალიან მაღალი დონის სპორტულ კომპლექსში განაგრძობს საქმიანობას, რაც ამ პროცესს, ბუნებრივია კიდევ უფრო ეფექტურს გახდის. ჩვენთვის სპორტი და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა პრიორიტეტულია, ამ კუთხით აჭარაში არა-**

ერთი პროექტი ხორციელდება და ჩვენ მზად ვართ, ხელი შევუწყოთ ამ სფეროს კიდევ უფრო განვითარებას“, — განაცხადა რამაზ ბოლქვაძემ. სპორტული კომპლექსი დაახლოებით 23 000 კვ.მეტრ ტერიტორიაზე მოეწყობა და იქ სხვადასხვა სპორტული სახეობების სექციები განთავსდება: სპორტული ტანვარჯიში; მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზი; ბ/რ ჭიდაობის დარბაზი; თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი; სპორტული ცეკვების დარბაზი; ჭადრაკის დარბაზი; ტაეკვანდოს დარბაზი; ქართული საბრძოლო ხელოვნების დარბაზი; უნივერსალური ტრანსფორმირებადი დარბაზი; კრივის დარბაზი. თანამედროვე სტანდარტების სპორტულ კომპლექსში გასახდელები, საპირფარეშოები, დამხმარე და საინვენტარო სათავსოები და სასტუმრო მოეწყობა. შენობას ასევე ღია ავტოსადგომი ექნება.

გუგული მაღრაძე: მეტი ქალი უნდა იყოს ეკონომიკასა და მმართველობაში...

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გუგული მაღრაძემ წინა კვირაში „რეპორტიორთან“ ქალთა ორგანიზაციების შეხვედრების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გაიზარდოს ქალების ჩართულობა როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ საქმიანობაში. გუგული მაღრაძე ასევე შეეხო ქვეყანაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვან მოვლენებსაც.

— წინა კვირას ქალთა ორგანიზაციებმა შეხვედრები მოაწყვეს, რომლებსაც თქვენც ესწრებოდით, რა საკითხები იყო განხილული?

— „რედისონში“ იყო ძალიან დიდი ფორუმი „ქალები ეკონომიკაში“, რაც, მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებისთვის. დღეს საქართველოს მთავარი პრობლემა და გამოწვევა სიღარიბეა. კვლევები და ბევრი წარმატებული ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ფაქტორი არის ქალთა მაქსიმალური ჩართვა ეკონომიკურ აქტივობებში. მოსაზრებაში, რომ ქალებისა და მამაკაცების თანასწორი მონაწილეობა წინ სწევს ქვეყნის ეკონომიკას, გვეთანხმება იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც ამას მიაღწიეს. როდესაც ვამბობთ, რომ ქვეყანაში ქალებსა და მამაკაცებს შორის შემოსავალი არათანაბრად ნაწილდება, ნიშნავს იმას, რომ ქალების შემოსავალი 30%-ით ნაკლებია, ვიდრე მამაკაცების. ამიტომ არის, რომ მეტი ქალი უნდა იყოს ეკონომიკაში, მეტი ქალი უნდა იყოს მმართველობაში... ამ ფორუმმა უჩვენა, რომ საქართველოში არიან ქალბატონები, რომლებმაც დაიწყეს ბიზნესი, არჩენენ ოჯახებს, თავისი წვლილი შეაქვთ ქვეყნის კეთილდღეობაში და ჩემი მოწოდება იყო, რომ გავაფართოოთ ეს ბიზნესი და ე.წ. ქალური ბიზნესიდან გადავიდეთ ისეთ ბიზნესში, როგორიც არის ტექნოლოგიები, ინჟინერია და სადაც უფრო დიდი დოვლათი და შემოსავალი იქნება. სიღარიბის დაძლევის გზა ჩვენნაირ ქვეყნებში, რომელსაც არა აქვთ ნავთობი ან მსგავსი რესურსი, გადის სწორედ იმაზე, რომ ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობა თანაბარი უნდა იყოს ეკონომიკაში. მითუმეტეს, განათლების ინდექსის მიხედვით გოგონები, ქალები ჩვენს ქვეყანაში ძალიან წინ არიან.

მეორე თემა, რომელიც განიხილებოდა წინა კვირაში, ეს იყო სექსუალური შევიწროება სამსახურებში. ჩვენ ამ საკითხს თითქოს არ გვინდა რომ შევეხოთ, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობს ეს პრობლემა. გაეროსა და ევროკავშირის დახმარებით შეიქმნა სასწავლო-ელექტრონული კურსი, რომელიც შესაძლოა, ყველა დაწესებულებაში ჩატარდეს და მას ექნება პრევენციული ღირებულება იმისათვის, რომ ადამიანებმა დაინახონ, რომ ეს პრობლემა არსებობს და ქალს არ უნდა ჰქონდეს უხერხულობა სამსახურში იმის გამო, რომ ის არის ქალი. ამ მხრივ, ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მომზადებული აქვს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები, რაც გაამკაცრებს ამ მოვლენას და, თავის მხრივ, ეს იქნება კარგი საშუალება პრევენციისა, იმისათვის, რომ ქალი დაცული იყოს სამუშაო ადგილზეც, ქალი დაცული იყოს საჯარო სივრცეში და არ იღებდეს გარკვეულ შეზღუდვას და შეურაცხყოფას მხოლოდ იმის გამო, რომ ქალია.

— „რუსთავი-2“-ის ეთერში რამდენიმე დღის წინათ ვიხილეთ კადრები, სადაც თანამშრომლებზე წილების გადანაწილება მიმდინარეობდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი იყო დეტალების ასე საჯაროდ გამოტანა და, ზოგადად, „რუსთავი-2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებს როგორ შეაფასებთ?

— სიმართლე გითხრათ, „რუსთავი-2“-ის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აღარ მაქვს. ვთვლი, რომ იქ მიდის ისეთი პროცესები, როგორიც უნდა მიდიოდეს. „რუსთავი-2“ იყო ექსკლუზიური ტელევიზია. მათ წინა ხელისუფლების დროს ჰქონდათ საგადასახადოში შეღავათები, დიდი დაფინანსება და მხარდაჭერა და ეს ახლაც გამოჰყვა ინერციით, რადგან ფინანსური რესურსი მათთვის არავის შეუწყვეტია. ამასთან ერთად, იმ ექსკლუზივმა მას საშუალება მისცა, რომ ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკა, ჰყავდეს პროფესიონალები. ახლა, როდესაც მას აღარ ექნება ასეთი ექსკლუზივი, რა თქმა უნდა, პრობლემები გაუჩნდება შიგნიდან. ჩვენ მოხარულები ვიქნებით, თუ სტრასბურგი ამას ძირფესვიანად გამოიკვლევს და რაღაცა შედეგი დადგება. ერთი ვიცი, რომ უზენაეს სასამართლოს რაიმე შეცდომა არ დაუშვია. მან ძირითადი აქცენტი გააკეთა ქონებრივ დავაზე. დარწმუნებული ვარ, რომ მას ჰქონდა ამის საფუძველი, რადგან არცერთი მოსამართლე ჰაერზე არ მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას. „რუსთავი-2“ არის ტენდენციური ტელევიზია, შინაარსობრივად არის ძალიან ცილისმწამებლური, ხშირად იღებს ისეთ ფაქტებს, რომელიც „მოდელირებული ქრონიკის“ მსგავსია, გაგახსენებთ ვენახის აჩეხის ფაქტს და მსგავსი არა ერთი და ორია. ჩვენ გვინდა ობიექტურობა. ტელევიზიამ უნდა აჩვენოს, რა ნაკლი გვაქვს, მაგრამ აჩვენოს ისიც, რა გაკეთდა კარგი, რათა ადამიანებს ჰქონდეთ მოტივაცია და იმედი, რომ ქვეყანაში რაღაცა კეთდება. „რუსთავი-2“ 2004 წლამდე მხოლოდ უარყოფითს უჩვენებდა, 2004-2012 წლამდე სულ პოზიტივი იყო საქართველოში, 2012 წლიდან სულ ნეგატივია.

— როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის კამპანიას „კონსტიტუცია ყველასია“ და როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი?

— შეიძლება, ეს იყოს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი... გიორგი მარგველაშვილი ახალგაზრდა კაცია, პოლიტიკაში მოვიდა და დარჩენა უნდა. რა თქმა უნდა, ის გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას, რომ რაც შეიძლება მეტად პოპულარული გახდეს. უბრალოდ, ხანდახან ხდება ხოლმე ისეთი საკითხების წინ წამოწევა, რომელიც არ შეეფერება რეალობას. როდესაც კონსტიტუციის განხილვისკენ მოვუწოდებთ საზოგადოებას, უნდა გვქონდეს რაღაც პროექტი მაინც. კონსტიტუციაზე მუშაობენ კონსტიტუციონალისტები, საზოგადოებას კონსტიტუციური ნორმა უკვე ისე უნდა მიაწოდო, რომ მან გამოხატოს დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. მანამდე ხომ უნდა იყოს შეჯერებული, რა ნორმები შედის კონსტიტუციაში. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ეს მოვლენებზე წინ გადახტომაა და რეალობიდან არ გამომდინარეობს. თავისთავად ის, რომ ადამიანს უნდა, თავისი პოლიტიკური კარიერა გააგრძელოს და იყენებს ამას, ბუნებრივია, მაგრამ, ჩვენ ამ ყველაფერში ვხედავთ ძალიან დიდ პოპულიზმს. ისევე, როგორც ვეტოების დადების დროს. დარწმუნებული ვარ, გიორგი მარგველაშვილი ხედავს, რომ არის კანონპროექტები, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება იმ რეალობას, რაც საქართველოში არის და კარგად მოაწესრიგებს ყველაფერს, მაგრამ ადებს ვეტოებს, რათა გამოჩნდეს, რომ ის არის ფიგურა, იმიტომ, რომ მოიპოვოს მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის მხარდაჭერა. ეს პოლიტიკაში შეიძლება, მაგრამ ვისურვებდი, რომ ისეთ ჩარჩოებს არ გასცდეს, რაც სახელმწიფოსთვის და ქვეყნისთვის დამაზიანებელი იქნება.

— 9 აპრილს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ტარდება რეფერენდუმი სახელის შეცვლასთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, რას შეცვლის ეს და არის თუ არა კონკრეტული ნაბიჯები დაგეგმილი მმართველ გუნდში?

— ეს თავისთავად უარყოფითი მოვლენაა იმ გაგებით, რომ რუსეთი ცდილობს, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას, რომ სახელიც კი აღარ იყოს. ეს მოსალოდნელი მოვლენა დაგმობილია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ბრიუსელში ჩვენი ვიზიტის დროს, სპეციალურად ჩაიწერა, რომ ევროკავშირი რუსეთის ამ გადაწყვეტილებას გმობს, მოუწოდებს რუსეთის მთავრობას, რომ არ ჩაატარონ ასეთი რეფერენდუმი, მაგრამ რუსეთს უნდა, კიდევ ერთხელ აჩვენოს, როგორი გავლენიანია ცხინვალში. ამ რეფერენდუმს იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ, რომ მას არავინ ცნობს. საერთოდ, იცით, რომ აღიარების პოლიტიკაში ძალიან დიდი ჩავარდნა აქვს რუსეთს და დიდი მარცხი განიცადა. უამრავი ფული დახარჯა იმისთვის, რომ პატარ-პატარა ქვეყნები მაინც მოეძებნა მსოფლიოში, რომლებიც ეკონომიკურ სტიმულირებას დახარბდებოდნენ და აღიარებდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ სულ სამი ქვეყანა მოიძებნა ასეთი და ამ მხრივ, ვიტყვი, რომ ჩვენმა საგარეო სამსახურმა ძალიან კარგად იმუშავა და ყველა ქვეყანას განუმარტა, რატომ არ შეიძლება ეს. არაღიარების პოლიტიკა გრძელდება და ასეთი ტიპის რეფერენდუმის ჩატარება მნიშვნელოვან ზიანს ვერ მოგვაყენებს. ჩვენი პოლიტიკა მშვიდობიანია და ბოლომდე ასე იქნება, უბრალოდ გვინდა, რომ საქართველო იმდენად ფეხზე დადგეს, რომ მიზიდულობის მაგნიტი იყოს სამხრეთ ოსეთისთვისაც და აფხაზეთისთვისაც. ვიზალიბერალიზაცია სწორედ მაგ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, რომ აფხაზმა და ოსმა მოსახლეობამ უნდა დაინახოს, რომ საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავებით შეეძლება, ევროპა უფრო მისაწვდომი გახდეს მათთვის.

— როგორ შეაფასებთ იმას, რომ თბილისის ქუჩებში გარევაჭრობა აიკრძალა?

— საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, უნდა დამდგარიყო ეს დრო. გარემოვაჭრეობა არ არის ესთეტიკური და ჯანმრთელობისთვის დამღუპველია. რამდენადაც ვიცი, გარემოვაჭრეებს სთავაზობენ ბაზრის შიგნით შესვლას და იქ ვაჭრობას. ბოლოს და ბოლოს, ცივილიზებული ნაბიჯები უნდა გადავდგათ. თვითონ მოსახლეობაც მომთხოვნი უნდა იყოს და სურსათი გარეთ არ უნდა იყიდოს. მართალია, ადამიანები გაგვინაწყენდებიან, მაგრამ მათ უნდა გააცნობიერონ ეს ყველაფერი. რამდენადაც ვიცი, თბილისის მერიასაც აქვს შეთავაზება გარემოვაჭრეების მიმართ და ბაზრობებმაც გამოაცხადეს, რომ რაღაც შეღავათები ექნებათ. მსოფლიოში არსად არ არის გარევაჭრობა. მე თვითონ იმ ადამიანების მიკვირს, რომლებიც იქ ყიდულობენ, რადგან პროდუქტის სიჯანსაღე ძალიან მნიშვნელოვანია.

ესაუბრა
მარიამ პაიჭაძე

„ცენტრ პოინტი“ დაზარალებულების ინტერესების დასაკმაყოფილებლად მზადყოფნას გამოთქვამს

რჩეულიშვილების ოჯახის ადვოკატის განცხადებით, კომპანიის საქმეზე საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი 31 მარტის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ადვოკატებს უკვე ჩაბარდათ.

დაცვის მხარის განმარტებით, დოკუმენტში ჩამოთვლილია სამშენებლო კომპანიის ქონების ნაწილი, სულ 41 ობიექტი, რომელთაც ყადაღა უკვე მოეხსნათ, თუმცა ეს გადაწყვეტილება ძალაში პირველ მაისს შევა.

„ჩვენ გვყავს ორი ძალიან სერიოზული ინვესტორი. რომ მოგვეცეს საშუალება, შემოვიყვანოთ ეს ინვესტორები ობიექტებზე, ერთ ინვესტორს გარკვეული მიწის ნაკვეთის შესყიდვა უნდა, რის საფასურადაც საკმაოდ სერიოზულ თანხას იხდის, რომელიც ძალიან ბევრი ობიექტის დასრულებას შეძლებს. ჩვენ გვინდა ამაში სახელმწიფოს და პროკურატურის დახმარება, სწორედ ისევ დაზარალებულების ინტერესებიდან გამომდინარე. ის წინადადება, რაც პროკურატურას ჰქონდა, რომ დაასრულეთ და მერე მოვხსნით ყადაღას და მერე გამოვუშვებთ, მიუღებელია,“ — განაცხადა „რუსთავი-2“-თან მარინე ცუცქირიძემ.

როგორც მან აღნიშნა, დაზარალებულთა რაოდენობის თაობაზე ზუსტი მონაცემები არც კომპანიას და არც პროკურატურას გააჩნია, თუმცა, სავარაუდოდ, მათი რიცხვი 4 წლის განმავლობაში 6 ათასიდან 3 ათასამდე შემცირდა.

გურამ რჩეულიშვილმა შესაძლოა, საპატიმრო 12 აპრილს დატოვოს

„ცენტრ პოინტის“ საქმის ერთ-ერთმა ბრალდებულმა გურამ რჩეულიშვილმა საპატიმრო შესაძლოა, 12 აპრილს დატოვოს. მას ამ დროისათვის პატიმრობის 9-თვიანი ვადა ეწურება.

„ცენტრ პოინტის“ საქმეზე, კერძოდ, ბათუმის „მაგნოლიას“ ეპიზოდზე მორიგი სასამართლო სხდომა გუშინ ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. პროცესის გადადება ადვოკატებმა მოითხოვეს. ადვოკატმა ქეთი ჩომახაშვილმა, რომელიც გუშინდელ პროცესზე არ გამოცხადებულა, სასამართლოში გააგზავნა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სწორედ ამ სხდომების გადადების გამო, პროკურორები რჩეულიშვილების ოჯახის ადვოკატებს პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებაში ადანაშაულებენ, რათა გურამ რჩეულიშვილს 9-თვიანი პატიმრობის ვადა ამოეწუროს.

პარალელურად ადვოკატები კიდევ ერთხელ სთავაზობენ პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, თუმცა ისინი ითხოვენ პარალელურად ეტაპობრივად მოეხსნას ყადაღა „ცენტრ პოინტის“ ქონებებს, რათა მათი განცხადებით, ინვესტორების შემოყვანა და ობიექტების დასრულება მოხდეს.

ტკივილი ლიბერალური ბოროტებისა უფრო მნარე იქნება,

ვიდრე ფაშიზმისა და სოციალიზმის მსხვერპლთა ერთად აღებული ტკივილი!

ბარდა შემადგენელი ელემენტების სხვადასხვაობისა მათი არსებობის საფუძველიც სხვადასხვაა; ერი და საზოგადოება შედეგობრივი მიზეზებით არიან განსაზღვრული და მათი არსებობა ადამიანის თვისობრივად განსხვავებულმა მახასიათებლებმა განაპირობეს, ხოლო სახელმწიფო გონებრივი ნაყოფია, ადამიანის კულტურის შემადგენელია და მიზნობრივი მიზეზებით არის განსაზღვრული. **ერი და ეროვნული საზოგადოება არავის შეუქმნია, მათი არსებობა ადამიანის ბუნებრივი მახასიათებლების შედეგია და თითოეული ჩვენგანის ბუნებრივი უფლებაა, ვიცხოვროთ ერში და ვიყოთ ეროვნული საზოგადოების წევრები. ერების შერწყმისა და ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებების დაშვება იდეოლოგთა მცდელობაა მიზნობრივი მიზეზებით გარდაქმნან ის, რაც შედეგობრივი მიზეზებით არსებობს. ამით ისინი ადამიანს ართმევენ ბუნებრივ უფლებას, იცხოვროს თავისი ბუნების შესაბამის გარემოში. იდეოლოგები შეუთავსებადი სიდიდეების მონოლითურ სიდიდედ გადაქცევას ცდილობენ და ფაქტობრივად, ტოტალიტარულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს; ამის დასტურია ყოფილი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, ამის დასტურია ყოფილი ფაშისტური გერმანია, ამის დასტურია მსოფლიო ლიბერალური მოძრაობა და ამის დასტურია რელიგიური ფუნდამენტალიზმი, რომელიც ერს, საზოგადოებას და სახელმწიფოს თავის თავში აერთიანებს.**

თეორეტიკოსების მცდელობა, მიზნობრივი მიზეზებით შეაღწიონ სამყაროში, რომელიც შედეგობრივი მიზეზებით არსებობს, ღმერთის უარმყოფელი და ბუნებაზე ბატონობის ჟინით შეპყრობილი ადამიანების ქედმაღლობაა, რაც მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნის ევროპელი მოაზროვნეების ავადმყოფობა იყო და სამწუხაროა, რომ მათი ნაშრომების წაკითხვა ადამიანებს დღესაც უბინდავს გონებას.

საზოგადოებაში ახალი ეკონომიკური ფორმაციის შედეგობრივი მიზეზი იყო ინტელექტუალურ ძალთა გააქტიურება, რაც მიზნობრივი მიზეზით საწარმოო საშუალებების შექმნამ განაპირობა. გონების მიზანი ახალი ფორმაციის შექმნა კი არა, მანქანა-დანადგარების შექმნა იყო, რამაც, შედეგობრივი მიზეზებით, საზოგადოებაში ცვლილებები გამოიწვია.

კაპიტალისტურ ურთიერთობებს სათავე დაუდეს ჯეიმზ პარგრეივზმა, ჯეიმზ უაიატმა, რიჩარდ ტრევიჩკამ, ჯორჯ სტივენსონმა, ჯეთრი თარმა და სხვებმა, რომლებმაც საწარმოო და სატრანსპორტო საშუალებები შექმნეს. საზოგადოებაში ორი კლასის გაჩენის მიზეზიც ეს იყო; გაჩნდა ჩარხი, გაჩნდა მესაკუთრე და გაჩნდა მუშა. მიზეზი ინდუსტრიალიზაციისა, ტექნიკური პროგრესი იყო და არა თეორიული საფუძვლები ლიბერალური იდეოლოგიისა.

სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთში მხოლოდ მესაკუთრე შეცვალა; კერძო ინტერესს ჩაენაცვლა საზოგადოებრივი ინტერესი. სოციალისტურ იდეოლოგიაში გაფანტული ლამაზი სურვილები მალე ფიქციად იქცა. საზოგადოება, საზოგადოებრივი ინტერესი, საზოგადოებრივი საკუთრება აბსტრაქტული ცნებები გახდა, რომლებსაც სახელმწიფო იყო ამოფარებული. პარტოკრატიული ხელისუფლების სათავეში იმპერატორის უფლებებით აღჭურვილი ბელადი იდგა და მიღწევები საბჭოთა კავშირისა ბელადის გენიალურობასთან ასოცირდება, რომლის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფომ რღვევა დაიწყო და ბოლოს დაინგრა კიდეც.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 70.

დრომ დაგვანახვა, რომ მოგებაზე ორიენტირებული კერძო ინტერესი უფრო მასტიმულირებელია წარმოებისა, ვიდრე აბსტრაქტული საზოგადოებრივი ინტერესი. კერძო წარმოებას, მუშამოსამსახურეთა პირობების გასაუმჯობესებლად მეტი ფინანსური საშუალებები გაუჩნდა, რამაც ევროპაში მუშებს სოციალისტური რევოლუციისადმი ინტერესი დაუკარგა.

სოციალისტური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი გეგმიური წარმოება პროდუქციის რაოდენობაზე იყო გათვლილი, რაც ხარისხს აზიანებდა. საბჭოთა საქართველოში წელიწადში იმდენი ტონა ღვინის წარმოება იგეგმებოდა, რამდენის წარმოებასაც ერთი წლის ყურძნის მოსავალი ვერ უზრუნველყოფდა; შაქრისა და წყლის გამოყენებით ახერხებდნენ გეგმის შესრულებას, რაც უხარისხო პროდუქციის გამოშვებას უწყობდა ხელს და რისი გასაღებაც მხოლოდ ჩაკეტილი ბაზრის პირობებში იყო შესაძლებელი.

ფაქტიურად, მუშამ, სოციალისტური რევოლუციით რუსეთში, მცირე ხელფასი, უხარისხო პროდუქცია და დესპოტური სახელმწიფო მიიღო, რომელსაც სიტყვის თქმას ვერ უბედავდა.

იდეოლოგიისთვის დამახასიათებელია ცვლილება საკაცობრიო ღირებულებაში. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, რომ აზრობრივ კონსტრუქციაში, როდესაც სიკეთე კაცობრიობის მთავარ ღირებულებისკენ — ადამიანისკენ არის მიმართული, ასეთი ლოგიკა ღვთაებრივი ლოგიკაა, ხოლო თუ სიკეთე გადამისამართებულია — სატანური ლოგიკა. ფაშისტურ იდეოლოგიაში მთავარი ღირებულება გახლავთ ნაცია. ადამიანს თავისუფლება არ გააჩნია, ეროვნულ ერთობაშია გათქვეფილი და ელიტარული სრულყოფილების მისაღწევად ზეკაცის მორჩილებაშია.

ისტორიული ფაქტია, ფაშიზმმა, მთავარ ღირებულებაში ცვლილებით რა უბედურება მოუტანა ადამიანებს.

სოციალიზმის მთავარი ღირებულება გახლავთ უკლასო საზოგადოება. ადამიანი საზოგადოებრივი აუცილებლობის ტყვეა; მის ნებას ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური კანონზომიერებები წარმართავენ, რომლებსაც ადამიანი „შეგნებულ აუცილებლობამდე“ (სპინოზა) მიჰყავს. სოციალისტური იდეოლოგიის მიხედვით, თავისუფალია ადამიანი, რომელიც ობიექტური კანონზომიერებების აუცილებლობას შეიგნებს და ამ აუცილებლობათა შესაბამისად მოქმედებს.

ჩვენ ვიცით, სოციალისტურ იდეოლოგიას ამოფარებული ძალაუფლება როგორ უსწორდებოდა განსხვავებული აზრის მატარებელ ადამიანებს.... ჩვენ ვიცით, სახელმწიფო როგორ იყენებდა აბსტრაქტული საზოგადოების ნებას ადამიანთა დასათრგუნად....

სოციალისტურმა იდეოლოგიამ მთავარ ღირებულებაში ცვლილებით ადამიანი საშუალებად აქცია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად. სიკეთე აბსტრაქტული საზოგადოებისკენ მიმართა, რადგან მისი მთავარი ღირებულებაა სწორედ ასეთი საზოგადოება: ყველაფერი ხალხს და არაფერი ადამიანს.

1688 წლის ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, კონსტიტუციური მონარქია დაამკვიდრა. მდიდარმა და მზარდმა ბურჟუაზიულმა კლასმა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტია მიიღო. ბუნებრივ უფლებათა თეორეტიკოსმა ჯონ ლოკმა ინგლისში და მოგვიანებით თომას ჯეფერსონმა ამერიკაში, ადამიანის უფლებები წინა პლანზე წამოწიეს და საზოგადოებას მინიმალური სახელმწიფოს იდეა შესთავაზეს. ჯონ ლოკს მიაჩნდა, რომ ხელშეკრულება სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის შეზღუდული უნდა იყოს და სახელმწიფო მხოლოდ სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებებს იცავდეს. თომას ჯეფერსონმა საკუთრების უფლება ბედნიერების უფლებით შეცვალა. მისივე აზრით, **„საუკეთესოა ის მმართველობა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მართავს“**.

ლიბერალური იდეის მსოფლმხედველობრივი მრწამსი ნათელია. ამ მრწამსის მსოფლმხედველობრივი განვითარება იქნებოდა თუ დღეს სახელმწიფოს არ ექნებოდა უფლება, ჩარეულიყო განათლების, სპორტის, კულტურის, მეცნიერებისა და სხვა საზოგადოებრივი დარგების საქმიანობაში.

სამწუხაროდ ლიბერალურმა იდეამ ხელისუფლებაში გადაინაცვლა, ფარული იდეებით გაჯერდა და ლიბერალისტურ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა.

ლიბერალისტური იდეოლოგიის მთავარი ღირებულებაა „ინდივიდუალური თავისუფლება“. „ინდივიდუალურის“ რამენაირ კავშირს თუ დავუშვებთ თავისუფლებასთან, გამოდის, რომ უნდა დავუსვათ კითხვა, როგორი თავისუფლება? რაც აღიარებაა მრავალნაირი თავისუფლებისა. თუმცა ლიბერალიზმი ამას არ აღიარებს. მაშ „ინდივიდუალურ თავისუფლებას“ რატომ ესმის კითხვა — როგორი?

კლასიკურ ლიბერალურ იდეებს აერთიანებს რწმენა „ეგოისტური ინდივიდუალიზმისა“, რამაც შემდგომ ადამ სმითის ეკონომიკურ თეორიებში ახალი, „ეკონომიკური ადამიანის“ შექმნის იდეაში ჰპოვა გაგრძელება, სადაც ხაზი გაესვა ადამიანის კიდევ ორ ცხოველურ თვისებას, თავკერძოობასა და მომხვეჭელობას. ლიბერალები „ინდივიდს“ განსაზღვრავენ სიტყვებით: ეგოისტური, თავკერძა, მომხვეჭელი და ასეთ ინდივიდს დაესმის კითხვა — როგორი? პასუხიც სახეზეა: ეგოისტი, თავკერძა, მომხვეჭელი ინდივიდი. ასეთი ადამიანი „ეკონომიკური ადამიანია“. თავისუფლების ცნებაში „ეკონომიკური ადამიანის“ მახასიათებელს ხაზი უნდა გასმოდა და მიზეზი ინდივიდუალურისა და თავისუფლების შეჯვარებისა ის იყო, რომ ადამიანის ეგოისტური, თავკერძა და მომხვეჭელი ბუნება თავისუფალი ნების გამოხატულებად ეღიარებინათ და მიიღეს შეუსაბამობა თავისუფლების ცნებაში. თუ „ინდივიდუალურის“ ნაცვლად ჩავსვამთ ადამიანის ცხოველურ მახასიათებლებს, მივიღებთ ეგოისტურ თავკერძა და მომხვეჭელი ბუნების თავისუფლებას. ასეთ თავისუფლებას მართლაც დაესმის კითხვა: როგორი თავისუფლება? და პასუხიც ნათელია — „ინდივიდუალური თავისუფლება“.

ისტორიული ფაქტია, ფაშიზმმა, მთავარ ღირებულებაში ცვლილებით რა უბედურება მოუტანა ადამიანებს.

თავისუფლების ცნების ეკონომიკურ ჭრილში განხილვა, მით უმეტეს, ერთ რომელიმე საზოგადოებრივ კლასზე ორიენტირებული, ცნებაში წვდომის შესაძლებლობას ვერ მოგვცემს. ეკონომისტების თეორიულ აზროვნებაში ლოგიკა ფოკუსირებას ახდენს ადამიანის ბუნებრივ, ცხოველურ წარმონაქმნზე მაშინ, როდესაც ადამიანში ინდივიდი ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. ცხოველთა ყველა სახეობა ინდივიდებისგან შედგება. ადამიანი ინდივიდად დარჩებოდა საზოგადოებას თუ ვერ შექმნიდა და ადამიანთა ჯოგში განაგრძობდა არსებობას. ჯოგი ინდივიდთა ნაკრებია, ხოლო საზოგადოება — პიროვნებათა სამოღვაწეო სივრცე.

წარმატებას ბიზნესში ყველა ხარბი, თავკერძა და მომხვეჭელი ადამიანი ვერ აღწევს, ეს მანკიერი გრძნობები წარმატების გარანტორები ვერ იქნებიან. თუ ადამიანი ნიჭითა და გონიერებით არ გამოირჩევა, წარმატებას ვერც ბიზნესში მიაღწევს და ვერც სხვა, რომელიმე სპეციალობაში.

ატომისტური დამოკიდებულება თანამედროვე წარმოებაში, სადაც წარმატება მრავალი ადამიანის სინთეზური შრომით მიიღწევა, წარმოების განვითარებას ხელს უშლის. წარმატებულობა მრავალი ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენის შედეგია. წარმატებული მეწარმე ის არის, ვისაც ჰყოფნის გონიერება, სხვათა შესაძლებლობები სხვათა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წარმართოს. რა თქმა უნდა, მეწარმე იგებს, მაგრამ საზოგადოება არ აგებს.

ცხოველთა ყველა სახეობის ყველა ინდივიდმა იცის საკუთარი პირის გზა, ადამიანი მაშინ გამოეყო ცხოველთა სამყაროს, როდესაც სხვისი პირის გზაც ისწავლა.

ჯუმბერ სარდლიშვილი

დასასრული იქნება

როგორ დავძლიოთ იდეოლოგიური აღვირახსნილობა?!

საქართველო ევროპოლის პარტნიორი იქნება

„საქართველო თანდათან ევროპული წესრიგის განუყოფელი ნაწილი ხდება“, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა შს სამინისტროში, საქართველოსა და ევროპოლს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმების ცერემონიალზე განაცხადა.

„ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ ევროკავშირთან მიმართებაში გვაქვს ძალიან კარგი დინამიკა და წინსვლა. დღევანდელი შეთანხმების ხელმოწერაც გახლავთ ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გამოხატულება ამ მიმართულებით. უვიზო მიმოსვლის ამოქმედებამ სრულიად ახალი შესაძლებლობები გაუხსნა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით. დღეს ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამთ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა, პრაქტიკულად, ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი და ევროპული წესრიგის განუყოფელი ნაწილი ხდება. ამ ხელშეკრულების გაფორმების შედეგად ჩვენ ვხდებით ევროპული ოჯახის ნაწილი სამართალდაცვით სფეროშიც, შესაბამისად, ჩვენ გვექნება უსაფრთხოების სულ სხვა შესაძლებლობები“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ეს შეთანხმება იქნება კიდევ ერთი ბერკეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხოლო ქართული პოლიცია იქნება ევროპელ სამართალდამცავთა თანამეგობრობის საიმედო პარტნიორი.

შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ამ შეთანხმებას ისტორიული უწოდა, რადგან, მისი თქმით, ეს არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

„დღეიდან საქართველო ევროპოლის ოპერატიული და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა ხდება, რასაც ჩვენი თანამშრომლობა ევროპის პოლიციის სამსახურთან სრულიად ახალ საფეხურზე გადაყავს. ეს ნიშნავს უფრო მეტ უსაფრთხოებას, ეს ნიშნავს უფრო მჭიდრო კომუნიკაციას ევროპის სამართალდამცავ უწყებებთან და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ უფრო ეფექტურ ერთობლივ ბრძოლას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გავხდით ევროპული ოჯახის წევრი სამართალდაცვის სფეროში“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

შეთანხმების საფუძველზე საქართველოს შესაძლებლობა ექნება ევროპოლთან და მისი მეშვეობით ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან უსაფრთხო კომუნიკაციის არხის საშუალებით გაცვალოს დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები. საქართველოს შს სამინისტრო ევროპოლის შტაბ-ბინაში მეკავშირე ოფიცერს წარგზავნის და ევროპოლის მიერ შექმნილი ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფების მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

არჩილ თარგამაძე

სამშენებლო ხარვეზები დევნილთა დასახლებებში

ზუგდიდში ლაღიძის ქუჩისა და ფოთში ახალი რაიონის დევნილთა დასახლებებში არსებული სამშენებლო ხარვეზების, ამით შექმნილი ჯანმრთელობისთვის საზიანო გარემოს შესახებ და პრობლემების მოგვარების გზებზე იმსჯელეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ზუგდიდის ოფისში.

შეხვედრაზე მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა შეკითხვებზე პასუხის გაცემა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს, აფხაზეთის მთავრობისა და ზუგდიდის მერიის წარმომადგენლებს მოუწიათ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზუგდიდში ლაღიძის ქუჩის დასახლებას, სადაც მცხოვრები 1 200 ოჯახი ამ დრომდე არ არის დარწმუნებული, რომ სუფთა წყალს სვამს. კორპუსის მობინადრეებმა განაცხადეს, რომ ორი წელია, რაც ამ ბინებში ჩაასახლეს და ამ ხნის მანძილზე სუფთა წყლის მიწოდება მოუგვარებელ პრობლემად იქცა.

„ყველაფერი არასწორად არის გაკეთებული. ფეკალურმა მასამ გაჟონა, ამიტომ იყო ხალხის მოწამვლაც. ახლაც ის კომუნიკაცია დევს იქ. ახალი არაფერი არ გამოცვლილა, მარტო ჭაბურღილი გათხარეს. ყოველდღე ვიწამლებით, ხალხო! გამოიყოს კომისია. სისხლის სამართლის საქმე, დანაშაულია ჩადენილი“, — აცხადებს ლაღიძის ქუჩაზე მცხოვრები ინეზა ფარულავა.

დევნილებმა, ისევე როგორც საია-ს წარმომადგენლებმა, ყურადღება გაამახვილეს მაღალი ტენიანობისა და სამშენებლო ხარვეზების გამო შექმნილ პრობლემებზე. თქვეს, რომ შენობების კედლების ნაწილზე წყალი ჟონავს, ობის გამო კი ოთახები ნადგურდება, დგას მძაფრი სუნი, რაც მათ ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

დევნილების საპასუხოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლობის თანამშრომელმა მორის შოგირაძემ აღნიშნა, რომ იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის ბინების მშენებლობა განსახლების პრობლემის მოგვარების მიზნით დაჩქარებული წესით მიმდინარეობს და ამ პროცესში ხარვეზების არსებობა ბუნებრივია:

„ხარვეზი მომავალშიც იქნება, იმიტომ რომ უხარვეზოდ გამორიცხულია. რადგან ბინების ნაკლებობაა, დევნილთა სამინისტრო იძულებულია ფორსმაჟორულ სიტუაციაში იმუშაოს და რაც შეიძლება სწრაფად მოახდინოს დევნილების ფართით დაკმაყოფილება. რაც შეეხება ნესტს, დასავლეთ საქართველოში ეს პრობლემა, ფაქტიურად, აღმოუფხვრელია. მეც მაქვს ოჯახში სინუსიტის პრობლემა“.

დევნილთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ზურაბ გერგედავას განცხადებით კი, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი მაღალი ტენიანობით გამოირჩევა, აღნიშნულ დასახლებაში დამატებით ადგილი გვაქვს მშენებლობისას ჰიდროიზოლაციის დარღვევასთან, რის გამოსწორებაც შესაძლებელია, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება საჭირო ფინანსების უქონლობის გამო.

„კანალიზაციის სისტემაში, მე მგონი, არის შეცდომა. თვითონ „წყალკანალის“ წარმომადგენლებიც ამას მიუთითებენ. აქ პრობლემა არის არა მილების დიამეტრში, არამედ ფეკალური მასების გადამქაჩის სიმძლავრე არ ყოფნის ამ დასახლებას. უნდა შეიცვალოს უფრო მძლავრით, ანდა პირდაპირი ჩადინების გზითაც შესაძლებელია გაკეთდეს“, — ამბობს ზურაბ გერგედავა.

შეხვედრის მონაწილეების განცხადებით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქალაქში ახლა ასრულებს წყლის მილების დაქსელვით სამუშაოებს, რის შემდეგაც შესაძლებელია ამ დასახლების ქსელში ჩართვა, რითაც ეს პრობლემა მოიხსნება. დევნილებმა შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადეს, რომ მათი პრობლემები კვლავ ღია რჩება და კონკრეტული პასუხები ვერ მიიღეს. მათ ნაწილობრივ დაეთანხმა საია-ს იურისტი ჯემალ ჭკადუა:

„სინესტესთან დაკავშირებული პრობლემები ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. გამოვიდა, რომ ეს ამ ეტაპზე მოგვარებადი არ არის. რაც შეეხება საკანალიზაციო სისტემებს, ესეც, ანალოგიურად, დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და მოგვარებადი არ არის“.

საია აპირებს ლაღიძის დასახლება მუდმივი შემოწმების რეჟიმში იყოლიოს. ზუგდიდის ახალ უბანში სასმელი წყლით მოწამვლის პირველი შემთხვევა გასული წლის 7 აპრილს დაფიქსირდა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, მაშინ სულ 111 მცხოვრები დაავადდა. პრობლემის დაფიქსირების შემდეგ დასახლებაში ახალი ჭაბურღილი გაითხარა, თუმცა, დევნილების თქმით, ამით პრობლემა არ გადაჭრილა.

თამარ ზანთარაია

გარევაჭრობაზე მეტად საზიანო ტროტუარებზე გაჩერებული ავტომობილებია

ძალაქმგეგმარებელი ზურაბ ბაქრაძე მიიჩნევს, რომ თბილისისთვის გარევაჭრობაზე მეტად საზიანო, ტროტუარებზე გაჩერებული ავტომობილებია და მერიამ ამ პრობლემის მოგვარებაზე აუცილებლად უნდა იზრუნოს.

როგორც „სითი კვირას“ ზურაბ ბაქრაძემ განუცხადა, ძალიან ბევრ ადგილას გარევაჭრობა შემაწუხებელია, ხელს უშლის საზოგადოებრივი სივრცეების ფუნქციონირებას, თუმცა, დედაქალაქის მთავრობას ურჩევს, ამ საკითხის მოგვარებას დიფერენცირებულად მიუდგეს და, პირველ რიგში, ტროტუარების ავტომობილებისგან გამოთავისუფლებაზე იზრუნოს.

„თუ მერიას სურს, ხალხის ნდობა დაიმსახუროს, პირველ რიგში, ავტომობილები უნდა გაყაროს ტროტუარებიდან, რომლებიც გაცილებით მეტად უშლის ხელს ქვეითს ქუჩაზე გადაადგილებისას, ვიდრე კვერცხის და ვაშლის გამყიდველი. მხოლოდ ამის მერე შეიძლება მერიას თავისი ღონისძიებების ლეგიტიმურობის იმედი ჰქონდეს“, — მიაჩნია ბაქრაძეს.

რაც შეეხება ბუკინისტების აკრძალვას, ზურაბ ბაქრაძის აზრით, ბუკინისტები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი სივრცეების ფუნქციონირებას, ქალაქის ცხოვრებაში დადებითი იმპულსი შეაქვთ და ძირითადად ისეთ ადგილებში არიან განთავსებულნი, სადაც მოქალაქეებს გადაადგილებაში ხელს არ უშლიან და მათი აკრძალვა უსამართლობად მიაჩნია.

„მერია ყველას მიმართ თანაბრად სამართლიანი უნდა იყოს. მაგალითად, მერიამ ტროტუარებზე ნაგებობების მშენებლობის უფლებები გასცა, რომლებიც ასევე უშლიან ხელს საზოგადოებრივი სივრცეების ფუნქციონირებას და ამახინჯებენ ქალაქის იერსახეს. გარდა ამისა, განსახილველია, რომელ გარემოვაჭრეებზე არის საუბარი და რა ალტერნატივას სთავაზობენ მათ. ხალხი გაავებულია ორმაგი სტანდარტების გამო. მაგალითად დელისის მეტროს მოპირდაპირე მხარეს, ტროტუარზე აშენებულია, რაღაც შენობა, რომელიც ზუსტად ისეთივეა თავისი ფუნქციით, როგორც გარე ვაჭრობა. პირველ რიგში, ასეთი ნაგებობები უნდა დაანგრიონ“, — განაცხადა ზურაბ ბაქრაძემ.

ქალაქმგეგმარებელი თბილისის მთავრობას ურჩევს, გარევაჭრობის ყველა შემთხვევა ადგილზე შეისწავლოს. მისივე თქმით, ფალიაშვილის ქუჩაზე, ორ ადგილას, შიდა ეზოს შესასვლელებში არიან მოვაჭრეები, რომლებიც ტროტუარს არ იკავებენ და მათი მომსახურებით უბნის მოსახლეობა სარგებლობს.

ზურაბ ბაქრაძის აზრით, ასეთ გარემოვაჭრეებს თუ აყრიან, ეს უსამართლობა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ წიგნებით არ ვაჭრობენ, ისინი გარემოს ხელს არ უშლიან და ქუჩაზე გარკვეულ ვაკუუმს ავსებენ.

კობა მშვიდობაძე

კონსტიტუციამ მიწა განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ უნდა აღიაროს

ქართული მიწის შეძენა-გასხვისების პრობლემა კონსტიტუციამ უნდა დაარეგულიროს!

ლია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2017 წლის 24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია „ქართული მიწის შეძენა-გასხვისების პრობლემა კონსტიტუციამ უნდა მოაწესრიგოს“...

სტატიის ავტორები არიან საქვეყნოდ ცნობილი აგრარიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პაატა კოღუაშვილი, მუნიციპალური სამართლის ექსპერტი დავით ზარდიაშვილი და სერტიფიცირებული ექსპერტი მიწათსარგებლობაში ანზორ მესხიშვილი.

სტატიაში ფართოდ არის განხილული 1921 წლისა და დღეს მოქმედი კონსტიტუციებით განსაზღვრული მიწასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების, განსაკუთრებით გერმანიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების კონსტიტუციებით რეგლამენტირებული მიწასთან დაკავშირებული პრობლემები, საკითხები, რომელთაგან მეტად საინტერესო და აქტუალურია საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილება: „სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი, რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა“.

ეს საკითხი, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოელ მოქალაქეებზე გასხვისების საკითხი, ადრიდანვე სადავო და საკამათო იყო ჩვენთან საქართველოში. მას ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. საკითხი უნდა გადაეწყვიტა საქართველოს პარლამენტს. საკითხის განსახილველად საქართველოს პარლამენტის სხდომის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე, დავურეკე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტი იყო, მიღება ვთხოვე. ქალბატონმა ნინომ მეორე დღეს მიმიღო. თითქმის საათზე მეტი ვესაუბრე აღნიშნულ საკითხზე. ქალბატონმა ნინომ მითხრა, ბატონო კაკო, უცხოელი მოქალაქეები ზურგზე მოიკიდებენ ამ მიწას და წაიღებენო? ვუპასუხე, რასაკვირველია, არა, მაგრამ არ შეიძლება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გაიყიდოს უცხოელ მოქალაქეებზე, რადგან ჯერ ერთი, ეს მიწები მცირეა, ვინაიდან საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, ტყეებს დიდი ტერიტორია უკავია, მეორეც, უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებამ შეიძლება, გამოიწვიოს უცხოელთა დასახლებების შექმნა, მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ისედაც უცხოტომელებითაა დასახლებული, რაც დრო და დრო პრობლემებს უქმნის ჩვენს ქვეყანას.

ქალბატონ ნინოსთან საუბრის მეორე დღეს, საქართველოს პარლამენტის სხდომას ვუყურებდი ტელევიზიით, იგი გახსნა არა მისმა თავმჯდომარემ ბურჯანაძემ, არამედ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა, რომელმაც პარლამენტის წევრებს დღის წესრიგით განსახილველი საკითხების სია გააცნო, სადაც შეტანილი არ იყო პარლამენტის მიერ უცხოელებზე, სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისების საკითხი, ამის შესახებ ხმაურიანი გამოსვლით განაცხადა პარლამენტის წევრმა ნაციონალური მოძრაობიდან გიგა ბოკერიამ, მისი მოთხოვნით ეს საკითხი შეიტანეს პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში, მაგრამ პარლამენტმა მას მხარი არ დაუჭირა: აიკრძალა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში შავით თეთრზე წერია: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიეცემა მხოლოდ იჯარით“. რაც შეეხება, „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს“, 1998 წლის კანონით გამოცხადებულია კერძო საკუთრებად და ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის გათვალისწინებით შეზღუდვა არ ვრცელდება.

დაბოლოს: რა უნდა გაკეთდეს? — სავენებრივია კონსტიტუცია, როგორც ზოგადად საკუთრების, ასევე კონკრეტულად მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მხოლოდ ძირითად, ფუნდამენტურ პრინციპებს უნდა შეიცავდეს, ხოლო დაწვრილებით საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები კერძო სამართალმა, ხოლო მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის საუნჯის, ბუნებრივი სიმდიდრის საკუთრების შემთხვევაში კი ორგანულმა კანონმა — მიწის კოდექსმა უნდა მოაწესრიგოს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სტატიის ავტორების წინადადებას, მოთხოვნას, რომ საქართველოს კონსტიტუციის პირველ თავს — „ზოგადი დებულებები“, იმ მუხლთან, სადაც საუბარია სახელმწიფო ენასა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსზე, **უნდა დაემატოს მუხლი, რომლითაც მიწას, მიუხედავად მასზე საკუთრების ფორმისა, ცნობს როგორც განსაკუთრებულ ღირებულებას — ეროვნულ საუნჯეს, უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეს და ქართველთა წინაპარი, აწმყო და მომავალი თაობების სამუდამო სამკვიდროს** (ამ მუხლის დამატება ენისა და ეკლესიის სტატუსის განმსაზღვრელ ნახსენებ მუხლებთან, კონსტიტუციაში შეკრავს მარადიულ ქართულ ტრიადას „მამული, ენა, სარწმუნოება“). ეს მუხლი, როგორც სტატიაშია აღნიშნული, შექმნის მიწის განსაკუთრებულ დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს, დაადგენს მიწის საკუთრების ფორმებს — სახელმწიფო, მუნიციპალურ (სათემო) და კერძო საკუთრებას, განსაზღვრავს მიწის საკუთრების, როგორც უფლების იმთავითვე საზოგადოებრივი ვალდებულებითი დატვირთვის პრინციპს, ხოლო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხებს (მათ შორის, უფლებრივი და მიწათსარგებლობის კადასტრთა წარმოების, მიწათსარგებლობის დაგეგმვის, მიწათმოწყობის, მიწის კატეგორიის მიხედვით მიწის მასივებისა და ლანდშაფტების მართვის და სხვა.) ორგანულ კანონს „მიწის კოდექსს“ მიანდობს.

საგაზეთო სტატიაში არის მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლზე, რომელიც ეხება საკუთრებასა და მემკვიდრეობას, მათთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანს საკითხებს. მოტანილია მუხლის შესაძლო რედაქციაც, ჩვენ მხარს ვუჭერთ მას. ისე, ეს მუხლი, ნამდვილად მორგებულია საქართველოს მიწის კოდექსზე, რომელიც ძალიან მოძველებულია. **საჭიროა მიწის ახალი კოდექსის შემუშავება და დროულად მიღება, რის შესახებაც გაცხადებული მაქვს ჩემს მიერ შემუშავებულ და 2003 წელს გამოცემულ ეკოლოგიური სამართლის სახელმძღვანელოში.**

საქართველოს ახალმა, განახლებულმა კონსტიტუციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მიწის, როგორც უპირველესი ბუნებრივი ობიექტის მრავალმხრივ მნიშვნელობას, უპირველესად მიწას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის, ფუნქციონირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, საფუძველს, არ არსებობს სახელმწიფო შესაბამისი ტერიტორიის და მისი საზღვრების გარეშე. მიწა სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე სატყეო მეურნეობაში წარმოადგენს წარმოების ძირითად საშუალებას. წარმოების სხვა სფეროებში — მშენებლობაში, ენერგეტიკაში და სხვა, აუცილებლად საჭირო შენობა-ნაგებობების და სხვა კონსტრუქციების განლაგების ბაზას.

არაა დასამალი, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში საქართველომ დროებით დაკარგა ქვეყნის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, კერძოდ, დავკარგეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები. საჭიროდ მიგვაჩნია, ქვეყნის პრეზიდენტების საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლში გაკეთდეს ჩანაწერი — **„საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის ერთიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობის (და აქ დაემატოს) ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის გარანტი“**. აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო მეტი ყურადღების გამახვილების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია 69-ე მუხლში გაკეთებული ჩანაწერი, აგრეთვე გაკეთდეს კონსტიტუციის 71-ე მუხლის პირველ პუნქტშიც — **„საქართველოს პრეზიდენტი ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობას, განუყოფლობას (და აქ დაემატება) და ტერიტორიულ მთლიანობას“**.

საქართველოს კონსტიტუციაში ზემოთ აღნიშნული ჩანაწერების გაკეთება საჭირო და აუცილებელია, ეს ცხადზე ცხადია ჩვენი პრეზიდენტების შემყურე, თორემ შესაძლებელია, საქართველო თბილისისა და შორაპნის ამარა დარჩეს, საქართველოს პრეზიდენტებმა მეტი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინონ თავიანთი მმართველობის პერიოდში. ჩვენ კი, საქართველოს მოსახლეობას, მეტი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს პრეზიდენტად პიროვნების არჩევის, ქვეყნისთვის, ერისთვის უპირველესი მნიშვნელობის საკითხში.

აკაკი ლაბარტყავა

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი

ამხ. მიხაილოვს. თქვენი ამოცანაა, რომ გაერთიანოთ ივანოვისა და დონცოვის (ესენია ერიომენკო და როკოსოვსკი) მოქმედებები. ამ დრომდე კი თქვენ გამოგდით გათიშვა და არა გაერთიანება. 2 და 3 რიცხვის თქვენი ბრძანების მიუხედავად, უტევდა ივანოვი, დონცოვს კი არ ჰქონდა შეტევის შესაძლებლობა. მტერმა მიიღო მანევრის შესაძლებლობა. 4-ში შეუტევს დონცოვი, ივანოვს კი არ ექნება შეტევის შესაძლებლობა. მტერი კვლავ მიიღებს მანევრირების საშუალებას. გთხოვთ, ამიერიდან აღარ დაუშვათ ასეთი შეცდომები. მანამ, სანამ გამოსცემდეთ ბრძანებას ივანოვისა და დონცოვის ერთობლივი შეტევის შესახებ, საჭიროა, შემოწმდეს, შეუძლიათ მათ შეტევა? 4.XII. 1942 წ. თავდ.მინ. ვასილიევი (გვარი „ვასილიევი“ იყო სტალინის ფსევდონიმი, „მიხაილოვი“ კი — ვასილევსკისა).

სტალინი უხსნის არა ვინმეს, არამედ ვასილევსკის, თავისი გენერალური შტაბის უფროსს, იმას, რაც ყველა კურსანტმა უნდა იცოდეს. საჭიროა შეტევა ერთდროულად, არ მიეცეს მტერს შესაძლებლობა — მოიგერიოს დარტყმები ნაწილ-ნაწილ. ასე, სტალინის არა წინააღმდეგობით, არამედ წყალობით მოხერხდა ფაშისტების განადგურება სტალინგრადში? თავისი უნდა მიეზღოს ჩვენს გენერლებსა და მარშლებსაც — მათმა დიდმა უმრავლესობამ დატოვა პატიოსანი მემუარები. საუბრობდნენ სიმართლეზე იმ დროს, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვი მათგან ითხოვდა სრულიად სხვა რამეს. აი, წამყვანი საბჭოთა მხედართმთავრების მხოლოდ რამდენიმე გამონათქვამი სტალინის შესახებ.

„მე საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვ. სემიონოვი მიამბობდა, რომ კრემლში დიდ თათბირზე ხრუშჩოვმა განაცხადა: „აქ ესწრება გენერალური შტაბის უფროსი სოკოლოვსკი, ის დამიდასტურებს, რომ სტალინი ვერ ერკვეოდა სამხედრო საკითხებში. ხომ სწორს ვლაპარაკობ?“ „არავითარ შემთხვევაში, ნიკიტა სერგის ძევ“, — უპასუხა საბჭოთა კავშირის მარშალმა სოკოლოვსკიმ“.

„... ჩვენთან ზოგიერთ წიგნში ჩნდება ვერსია, თითქოს ი.ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა საბრძოლო ოპერაციებს „გლობუსით“. არაფერი უფრო უაზრო არ წამიკითხავს... სტრატეგიულ სამხედრო საკითხებშიც კი ი.ბ. სტალინი არ ხელმძღვანელობდა „გლობუსის“ ორიენტირებით. მით უფრო სასაცილოა, ვილაპარაკოთ ამაზე ტაქტიკის საკითხებზე, ისინიც მას აინტერესებდა, და არც იშვიათად“, დაწერა თავის მემუარებში მარშალმა მერეცკოვმა. მისი სიტყვები მეტად წონადია. იმიტომ, რომ ომის მეორე დღეს, 1941 წლის 23 ივნისს, ის დაინიშნა მუდმივ მრჩევლად მთავარი სარდლობის ბანაკთან და ჩავიდა მოსკოვში. როგორც კი მივიდა თავის კაბინეტში, 24 ივნისის 19:45 საათზე ზარის შემდეგ გაემგზავრა კრემლში სტალინთან. მისაღებში ის დააპატიმრეს და გაათავისუფლეს მხოლოდ 1941 წლის სექტემბერში. პატიმრობაში კი მერეცკოვს სცემდნენ...“

„როდესაც ხრუშჩოვმა სთხოვა როკოსოვსკის დაეწერა რაიმე საზიზღრობა სტალინზე, მან მას უპასუხა: „ამხანაგი სტალინი ჩემთვის წმინდანია“. მეორე დღეს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მივიდა სამსახურში, მის კაბინეტში მის სავარძელში უკვე იჯდა მოსკალენკო და გაუწოდა მას გადაწყვეტილება მისი მოხსნის შესახებ“.

„კარგი დამოკიდებულება მქონდა ნ.ს. ხრუშჩოვთან ომისშემდგომ პირველ წლებშიც. მაგრამ ეს განწყობილება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მე არ დავუჭირე მხარი მის გამონათქვამებს იმის შესახებ, რომ ი.ბ. სტალინი ვერ ერკვეოდა ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში და არაკვალიფიციურად ხელმძღვანელობდა ჯარების მოქმედებებს, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი. დღემდე ვერ გამიგია, როგორ შეეძლო მას ამის მტკიცება. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილ წევრს და მთელი რიგი ფრონტების სამხედრო წევრს ნ.ს. ხრუშჩოვს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, როგორი მაღალი იყო ბანაკისა და სტალინის ავტორიტეტი საბრძოლო მოქმედებათა წარმოების საკითხებში. მას ასევე არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდა, რომ ფრონტებისა და არმიების სარდლები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ბანაკს, სტალინს და აფასებდნენ მათ შეიარაღებული ბრძოლის ხელმძღვანელობის განსაკუთრებული კომპეტენტურობისათვის“, — წერს თავის მემუარებში მარშალი ვასილევსკი. **თავისი წიგნის სხვა ადგილას ის აკეთებს კიდევ უფრო საინტერესო აღიარებას: „არ იქნება ზედმეტი, კვლავ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი არა მხოლოდ ეხმარებოდა ფრონტებს, არამედ ხშირად ასწავლიდა კიდეც მათ გამარჯვების ხელოვნებას. ამის დასტური შეიძლება იყოს წიგნის ზოგიერთ თავში მოყვანილი საარქივო დოკუმენტები“.**

აი, დოკუმენტის ფრაგმენტი, რის შესახებაც ლაპარაკობს ვასილევსკი, რაც გაიგზავნა ფრონტების სარდლობათა მისამართით სტალინგრადის კონტრშეტევის მომზადების პერიოდში: „შეტევითი ოპერაციების განხორციელების დროს ფრონტებისა და არმიების სარდლები ზოგჯერ მათთვის დაწესებულ გამ-



ყოფ ხაზებს უყურებენ, როგორც ღობეს და ტიხარს, რომლებიც არ შეიძლება იქნეს დარღვეული, თუნდაც ამას მოითხოვდეს საქმის ინტერესები და ოპერაციის მსვლელობის დროს ცვალებადი ვითარება. შედეგად ჩვენი არმიები შეტევის დროს მიდიან წინ პირდაპირ თავის წინაშე, თავიანთი შეზღუდვითი ხაზების ფარგლებში, ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ მეზობლებს, მანევრის გარეშე, რომელსაც იწვევს ვითარება, ერთი-მეორის დაუხმარებლად და ამით ამსუბუქებენ მოწინააღმდეგის მანევრს და ანიჭებენ მას შესაძლებლობას დაგვარტყას საბრძოლო ნაწილების მიხედვით“.



აი, ასე —„უყურებენ მათთვის დაწესებულ გამყოფ ხაზებს, როგორც ღობეს და ტიხარს, რომლებიც არ შეიძლება იქნეს დარღვეული“. შეგახსენებთ — ესაა 1942 წლის შემოდგომა. თითქოსდა, ერთ წელზე მეტი ხნის ომის დროს უკვე გაგებაც უნდა გქონდეს. მაგრამ არა — ბანაკი კვლავ მოთმინებით ასწავლის გენერლებს საკმაოდ მარტივ ამბებს.

აი, კიდევ ერთი საჩვენებელი ეპიზოდი იმავე პერიოდიდან — გერმანელების სტალინგრადის დაჯგუფების ლიკვიდაცია. იგი თავის მემუარებში აღწერა ბრწყინვალე ავიაკონსტრუქტორმა ალექსანდრ იაკოვლევმა.

1942 წლის დეკემბრის ბოლოს გვიან საღამოს სახალხო კომისართან ერთად ვისხედით მის კაბინეტში, ვაკეთებდით საქმეს. რეკავს სტალინი:

— ჩვენი სატანკო ნაწილები შეიჭრნენ სადგურ ტაცინსკაიას რაიონში, ხელში ჩაიგდეს აეროდრომი, სადაც გერმანელთა 300 თვითმფრინავია. ეს ნაწილები დიდხანს არ უნდა დაყოვნდნენ, ისინი უნდა გადავიდნენ სხვა პოზიციებზე, და ამიტომ საჭიროა, ყველაზე მოკლე პერიოდში გამოვიყვანოთ მწყობრიდან იქ არსებული ყველა თვითმფრინავი. რა ხერხით გვირჩევდით, გამოვიყვანოთ მწყობრიდან მტრის თვითმფრინავები, რომ მათი აღდგენა შეუძლებელი იყოს? გაითვალისწინეთ, რომ იქ არ არიან საავიაციო სპეციალისტები, მხოლოდ ტანკისტები არიან.

შახურინმა უთხრა:

— ახლა მოვიფიქრებთ და მოგახსენებთ.

დავიწყეთ ფიქრი, თუ რა და როგორ გაგვეკეთებინა. განვიხილეთ სხვადასხვა ხერხები: დავანგრიოთ მოტორების კარტერები, დავხვრიტოთ საბურავები, დავწვათ თვითმფრინავები, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ისე მარტივი არაა დაწვა, ისინი, ზამთარში, ღამით, არასაავიაციო სპეციალისტმა უნდა იცოდეს, სად მივიდეს, სად გახსნას ონკანი, როგორ გამოუშვას ბენზინი და წაუკიდოს ცეცხლი. ასევეა მოტორის კარტერიც — უნდა მოიხსნას კაპოტი და უნდა იცოდე, სად დაარტყა. ბოლოს და ბოლოს მივედით დასკვნამდე, რომ ყველაზე საიმედო ხერხია — გადავატაროთ ტანკები თვითმფრინავების ბოლოებზე. დავამახინჯოთ, დავჭეჭყოთ ბოლოები, და მორჩა. თვითმფრინავები დიდი ხნით გამოვა მწყობრიდან.

როგორც ხედავთ, სტალინს მიმართავდნენ ისეთი საკითხების გადაწყვეტისათვის, თუ სწრაფად როგორ გამოვიყვანოთ მწყობრიდან მტრის სამასი თვითმფრინავი...

1943 წელი. ჰიტლერი ცდილობს, გადატეხოს ომის მსვლელობა და იწყებს შეტევას კურსკის რკალზე. სტალინი რას აპირებს?

უმაღლესი მთავარსარდალი მეტად ყურადღებით ადევნებს თვალყურს საფრონტო მოვლენათა მსვლელობას, ახდენდა სწრაფ რეაგირებას მათში მომხდარ ყველა ცვლილებაზე და მტკიცედ ეჭირა თავის ხელში ჯარების მართვა. 22 აგვისტოს ღამით ა.ი. ანტონოვმა გამაცნო დირექტივა, რომელიც გაეგზავნა ვორონეჟის ფრონტის სარდალს ნ.თ. ვატუტინს: „უკანასკნელი დღეების მოვლენებმა აჩვენა, რომ თქვენ ვერ გაითვალისწინეთ წარსულის გამოცდილება და კვლავ იმეორებთ ძველ შეცდომებს როგორც დაგეგმვაში, ისე ოპერაციების განხორციელების დროს. ყველგან შეტევისაკენ მისწრაფება და რაც შეიძლება დიდი ტერიტორიების დაპყრობა წარმატების განმტკიცების და დამცველი დაჯგუფებების ფლანგების მყარი უზრუნველყოფის გარეშე არის უსაფუძვლო ხასიათისა. ასეთ შეტევას ძალებისა და სახსრების გაფანტვასთან მივყავართ და ეს აძლევს მოწინააღმდეგეს საშუალებას დაარტყას ფლანგებზე და ზურგში ჩვენს დიდად წინწაწეულ და ფლანგებიდან არაუზრუნველყოფილ დაჯგუფებებს და გაანადგუროს ისინი ნაწილების მიხედვით... იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ მიგითითოთ დაუშვებელ შეცდომებზე, რომლებსაც არაერთგზის იმეორეთ ოპერაციის განხორციელების დროს... ი. სტალინი“ (ა.მ. ვასილევსკი „მთელი ცხოვრების საქმე“).

სტალინი არა მხოლოდ ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საბრძოლო მოქმედებებს და ჭკუას ასწავლიდა თავის გენერლებს. ის მზად იყო, სწრაფად მიეღო გადაწყვეტილება, დალაპარაკებოდა მათ, ვინც მოვლენათა შუაგულში იმყოფებოდა. აი როგორ აღწერს სტალინის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას კურსკის რკალზე ბრძოლის დროს ჩვენგან უკვე ნახსენები სატანკო გენერალი მიხაილ კატუკოვი. საკითხის არსი ასეთია — უახლესი გერმანული ტანკები „ვეფხვები“ და „ჯიქები“, რომლებიც გერმანული დარტყმის მახვილ წერტილებზე მოძრაობენ, სჯობია ჩვენ ტ-34-ს. ღია ბრძოლაში ჩვენი ტანკების დანაკარგები უზარმაზარია და ამ მომენტში კატუკოვი ღებულობს ბრძანებას, წავიდეს შეტევანზე — დაიწყოს შემხვედრი სატანკო ბრძოლა. ეს შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს.

მაგრამ როგორც კი გადავიდა ქოხის ზღურბლზე, კავშირგაბმულობის უფროსმა რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტონით მოახსენა:

— ბანაკიდან... ამხანაგი სტალინია.

აღელვებით ავიღე ყურმილი.

— გამარჯობათ, კატუკოვ! — გაისმა კარგად ნაცნობი ხმა. — მომახსენეთ ვითარება!

მთავარსარდალს ვუამბე იმის შესახებ, თუ რა ვნახე ბრძოლის ველზე საკუთარი თვალით.

— ჩემი აზრით, — ვუთხარი მე, — ჩვენ ავჩქარდით კონტრდარტყმით. მტერს აქვს დიდი დაუხარჯავი რეზერვები, მათ შორის სატანკოც.

— რას გვთავაზობთ?

— ჯერჯერობით მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ ტანკები ცეცხლის წარმოებისთვის ადგილიდან, დავფლათ ისინი მიწაში ან ჩავსვათ საფარში. მაშინ შეგვეძლებოდა, მოგვეშვა მტრის მანქანები სამას-ოთხას მეტრამდე და გაგვენადგურებინა ისინი სამიზნე ცეცხლით.

სტალინი გარკვეული დროით დუმდა.

— კეთილი, — თქვა მან ბოლოს. — თქვენ კონტრდარტყმას არ მიაყენებთ. ამის შესახებ ვატუტინი დაგირეკავთ.

მალე ფრონტის სარდალმა დამირეკა და მაცნობა, რომ კონტრდარტყმა უქმდება. მე სულაც არ ვამტკიცებ, რომ სწორედ ჩემი აზრი დაედო საფუძვლად ბრძანებას. ალბათ, იგი უბრალოდ დაემთხვა ბანაკისა და ფრონტის სარდლობის წარმომადგენლის აზრს.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69, 70

საქართველოს სურვილის მიუხედავად, მისი ნატოში და ევროკავშირში გაერთიანება ამჟამად არ მოხდება!!!

ვაშინგტონის მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტში (IWP), ამავე ინსტიტუტის ასპირანტურის კურსდამთავრებულმა ბენჯამინ ფრიკმა წაიკითხა ლექცია სათაურით: „**საქართველო ისტორიის გზაჯვარედინზე – გაურკვეველი მომავალი**“. იგი კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული პროგრამის მეცნიერი თანამშრომელია და ამჟამად ამ ორგანიზაციის თბილისის ოფისში მუშაობს.

ლექციის თემა: რას მიაღწია საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, რა ვერ შეძლო, რომელ გზაჯვარედინზე იმყოფება და როგორი არჩევანის გაკეთება მოუწევს არსებულ გეოპოლიტიკურ გარემოში.

„საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ის კვლავ ძალიან გაურკვეველ ადგილზე იმყოფება. გასულ წლებში, საქართველომ დიდი ცვლილებების გზა გამოიარა და ახლა იმ ისტორიული მონაკვეთის მიმოხილვა მინდა შემოგთავაზოთ, რომელმაც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა“, – განაცხადა ბენჯამინ ფრიკმა. მან მიმოიხილა რეგიონის პოლიტიკური ვითარება და აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონში გამორჩეული ადგილი უკავია: **„საქართველო რეგიონში თავისთავად ერთადერთი ადგილია, რომელმაც დასავლეთისთვის, ევროპისთვის კარი პოლიტიკურად გახსნა და ევროკავშირში გაერთიანებას აქტიურად ესწრაფვის. ის ამას უვიზო მიმოსვლის, სავაჭრო და განვითარების შეთანხმებების მეშვეობით აკეთებს, თუმცა ისეთ გეოგრაფიულ ადგილზეა, რომ რეგიონის პოლიტიკური ასპექტების გამო, საქართველოსთვის ამის განხორციელება საკმაოდ რთულია“.**

ბენჯამინ ფრიკმა თქვა, რომ ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ განვითარების საკუთარი გზა გაიარა, საქართველოში გატარებული რეფორმები კი ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა, თუმცა მოსახლეობისთვის ზოგიერთი რეფორმა საკმაოდ მტკივნეული იყო. მისი აზრით, საქართველო, თავისი არსებით ევროპული ქვეყანაა: **„შეერთებულმა შტატებმა და ასევე ცალკეულმა ევროპულმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ სწორი საგარეო პოლიტიკა და ხაზგასმით აღნიშნონ, რომ საქართველო უნდა გახდეს ებრაულ-ქრისტიანული დასავლური საზოგადოების წევრი და ამ საზოგადოებაში დარჩეს. როდესაც საქართველოში იმყოფები, გრძნობ, რომ ის თავისი არსებით ევროპული ქვეყანაა, მას ბევრი სხვადასხვა დამახასიათებელი თვისება აქვს, მაგრამ ევროპული ოჯახის ნაწილად ყოფნა სურს. საქართველო, ეკონომიკური თუ სხვა ბერკეტების ზემოქმედების შედეგად, მთლიანად რუსეთის გავლენის სფეროში თუ მოექცევა, მომავლის პერსპექტივაში ჩვენ ამით საკუთარ თავს ვავნებთ... რა თქმა უნდა, ეს საქართველოს ეკონომიკურ და ენერგეტიკულ დამოკიდებულებაზე აისახება და, სავარაუდოდ, ოკუპირებული ტერიტორიები მომავლისთვის დაიკარგება. არ ვიცი, ქართველები ამას როგორ ხედავენ, მაგრამ დასავლეთის ან შეერთებული შტატების მხარდაჭერით სამხედრო ძალის ჩარევა, მეტი ალბათობით არ მოხდება, საამისო ნება უბრალოდ არ არსებობს“.**

მკვლევარი ფიქრობს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პირობებში, საქართველოს მთავრობა ე.წ. „მაგნიტის თეორიის“ გამოყენებით მოქმედებს: **„საქართველოს პრეტენზია იმის შესახებ, რომ ოკუპირებული ტერიტორიები მის განუყოფელ ნაწილად რჩება, გადაჭრით უარყოფილი იქნება და მეტი ალბათობით, ეს ტერიტორიები მომავალში საქართველოს არ დაუბრუნდება, რადგან რუსეთის იქ ყოფნა სულ უფრო მასშტაბური ხდება. საქართველოს კი სამხედრო ძალა არ გააჩნია და სამხედრო ძალის გამოყენებით რამის გაკეთება გონივრულიც არ იქნებოდა. საქართველოს მთავრობის იმედი და მიდგომაც ე.წ. „მაგნიტის თეორიას“ ემყარება. იმ თეორიას, რომელიც გერმანიამ „ცივი ომის“ დროს გამოიყენა. როცა გერმანია გაყოფილი იყო, მათ კეთილდღეობა შექმნეს, შექმნეს ურთიერთდამოკიდებულებები და ამან კი ჩამოცილებული ტერიტორიები, ასე ვთქვათ, დედასამშობლოსკენ მიიზიდა. მე ვერ ვხედავ, რომ ახლა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ამ გზით წინსვლის საშუალებას იძლეოდეს“.**

ბენჯამინ ფრიკს მიაჩნია, რომ საქართველოს სურვილის მიუხედავად, ქვეყნის ნატოში და ევროკავშირში გაერთიანება ამჟამად არ მოხდება: **„ქართველებს ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციის მტკიცედ სჯერათ. ჩემი გულწრფელი აზრია, რომ ამჟამად საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში შესვლა არარეალისტურია. ამის მიზეზი ნაწილობრივ გაჭიანურებული კონფლიქტებიცაა. გადაუჭრელი შინაური კონფლიქტებით და პრობლემებით ნატოს წევრი ვერავინ გახდება... თუმცა საქართველომ ევროპაში ვიზების გარეშე მიმოსვლის უფლებას მიაღწია. როდესაც თბილისში, ევროპის დროშის ფერებში მორთული „მშვიდობის ხიდი“ დავინახე, ძალიან გამიკვირდა, რადგან ვიგრძენი, რომ ეს რაღაც თვალისახვევის კამპანიაც იყო, რადგან დიახ, მათ შეუძლიათ ევროპაში წავიდნენ და თავისუფლად იმოგზაურონ, თუმცა რამე თუ მოხდება, არსებობს პირობა, რომლის მიხედვითაც უვიზო მიმოსვლის წესი ადვილად გაუქმდება“.**

ლექციას შეერთებულ შტატებში საქართველოს ყოფილი ელჩი დავით სიხარულიძეც ესწრებოდა, რომელიც ნატოში გაწევრიანების შესახებ ბენჯამინ ფრიკის მოსაზრებას არ დაეთანხმა და თქვა, რომ ორგანიზაციაში მიღება, არსებული ტერიტორიული პრობლემების პირობებშიც მომხდარა: **„რაც შეეხება საქართველოს ნატოში გაერთიანებას. დიახ, მართალია, რომ საქართველოს ორი ტერიტორია რუსეთს აქვს ოკუპირებული, თუმცა საქართველოს ნატოსთან დაკავშირებულ მომავლის მიმართ ოპტიმისტური განწყობა მაქვს. ჩვენს ისტორიაში გვქონდა ვითარება, როცა ქვეყნის ნატოში მისაღებად, ოკუპირებული ტერიტორიის მიუხედავად, დიპლომატიური ან პოლიტიკური ფორმულა იქნა გამოყენებული, მაგალითად, გერმანიის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ახლა იგივე ვითარება არ არის, მაგრამ, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, გარკვეული ფორმულის შემუშავება შესაძლებელია, თუნდაც საქართველოს ალიანსში მიღება შეთანხმების მეხუთე მუხლის დროებით გამოკლებით“.**

ლექციის დასასრულ, კითხვა-პასუხის სესიაზე, საქართველოსთან მიმართებით უსაფრთხოების და საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც გაჟღერდა.

„Radio Voice of America“ (აშშ)

სანქტ-პეტერბურგში მომხდარი ტერაქტის შემსრულებელი აკბარჯონ ჯალილოვია

„ბიბისის“ ცნობით, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ყირგიზეთის ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო კომიტეტში ადასტურებენ. ეროვნებით ყირგიზი ჯალილოვი 1995 წელსაა დაბადებული და ის რუსეთის მოქალაქეა.

რუსული მედიის ცნობით, ყირგიზეთის საელჩოში აცხადებენ, რომ ოფიციალურ მოსკოვს ბიშკეკისთვის აღნიშნულთან დაკავშირებით არ მიუმართავს.

ტრამპმა პუტინს მიუსამძიმრა და დახმარება შესთავაზა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს დაურეკა და სანკტ-პეტერბურგში მომხდარი ფაქტის გამო, მისამძიმრებასთან ერთად, დახმარება შესთავაზა –ამის შესახებ რუსული მედია პუტინის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადებაზე დაყრდნობით წერს. „სატელეფონო საუბარში, ტრამპმა ბარბაროსული ტერორისტული აქტისას გარდაცვლილების ახლობლების მიმართ თანაგრძნობა გამოხატა. მან რუსეთის პრეზიდენტს სთხოვა, რუსი ხალხისათვის მისი მხრიდან მხარდამჭერი სიტყვები გამოეთქვა“, – განაცხადა პესკოვმა.

მედიის ცნობით, სოლიდარობისთვის, რუსეთის პირველმა პირმა ამერიკელ კოლეგას მადლობა გადაუხადა. ამასთან, Reuters თეთრი სახლის ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ დონალდ ტრამპმა ტერაქტის გამოძიების საქმეში რუსეთს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

რუსეთი და ბელარუსი ვალის რეფინანსირებაზე შეთანხმდნენ

რუსეთი ბელარუსის ვალების რეფინანსირებას მოახდენს. ამის შესახებ ბელარუსის პრემიერ-მინისტრმა ვასილი მატიუშევსკიმ განაცხადა. საუბარია 800-მილიონიან დავალიანებაზე, რომლის გადახდაზეც მინსკი უარს აცხადებდა, თუმცა როგორც რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ბელარუსის ლიდერმა განაცხადა, რუსეთსა და ბელარუსს შორის გადაუჭრელი საკითხები აღარ დარჩა.

◎ ვის დავუჯეროთ?

ჩინეთში მართლა შედის უხარისხო ქართული ღვინო?!

„თუ ჩინეთში სხვა ქვეყნებიდან უხარისხო ქართული ღვინო შედის, ეს არის მნიშვნელოვანი დანაშაული და ამ შემთხვევაში გაერთიანებული ძალებით (იქნება ეს დიპლომატიური თუ იურიდიული საშუალებები), უნდა ვიბრძოლოთ, რათა არაკეთილსინდისიერი ქმედებები აღვკვეთოთ“, – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბრისას სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი.

ეს განცხადება მინისტრმა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლის და კულტურის გამავრცელებელი ელჩის ჩინეთში, შიაო ჯუნიის, იგივე სანდრო ბერიძის საპასუხოდ გააკეთა.

სანდრო ბერიძემ „კომერსანტთან“ ქართული ღვინის ჩინეთში ექსპორტზე ისაუბრა და თქვა, რომ „ჩინეთში ბევრი ყალბი ქართული ღვინო შემოდის და ამიტომაც აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ კანონი გაამკაცროს“.

„ახლა საქართველოში ძალიან ბევრი არასერიოზული კომპანია შემოდის ჩინეთიდან, რომელსაც მხოლოდ ერთჯერადად ფულის გაკეთება აინტერესებს და ირჩევენ ძალიან ცუდ ღვინოს იაფად და გააქვთ ექსპორტზე, ან საერთოდ ყალბ ღვინოს ამზადებენ. ეს საქართველოს სახელს ძალიან უფუჭებს. ქართული პროდუქციის გაცნობა ჩინელმა მომხმარებელმა სულ ახლახან დაიწყო, თუ ის ცუდ პროდუქციას გასინჯავს, ჩათვლის, რომ ქართული ღვინო ცუდია და აღარ გაეკარება. შედეგად, ჩინეთის ბაზარზე ქართულ ღვინოს ცუდი სახელი ექნება, რაც დამღუპველ შედეგებს მოიტანს.

ეს სერიოზული საფრთხეა, ამიტომ აუცილებელია საქართველოს მთავრობამ ამ მხრივ გაამკაცროს კანონი. ჩინეთის ბაზარი სულ სხვა სამყაროა და გასხვავებულ მიდგომას საჭიროებს, თუ ქართული პროდუქცია ნდობას დაკარგავს, ჩინეთის ბაზარი საქართველოსთვის დაიკეტება. ახლა ურუმჩიდან , ხორგოზიდან და ყაზახეთიდან ძალიან ბევრი ყალბი ქართული ღვინო შემოდის, რაც სახელს უფუჭებს საქართველოს. ამიტომ აუცილებელია ასეთი კომპანიები გაკონტროლდეს საქართველოს მთავრობის მიერ . განსაკუთრებით ექსპორტზე გასატანი ღვინის ხარისხი უნდა გაკონტროლდეს. კარგი იქნება, შეირჩეს მხოლოდ ისეთი სერიოზული კომპანიები , რომლებიც ზრუნავენ საქართველოს იმიჯზე და ხარისხიანი ღვინო გააქვთ“, – განაცხადა სანდრო ბერიძემ.

მართალია, ამ მოსაზრებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ცოტა გადაჭარბებულს უწოდებს, თუმცა აცხადებს, რომ ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ორივე ქვეყანამ ერთობლივი ღონისძიებები უნდა გაატაროს.

„თუ ჩინეთში შედის გაყალბებული ღვინო, ვფიქრობ, რომ უფრო ლოგიკურია ამაზე პასუხი ჩინეთმა საკუთარ თავზე აიღოს, რადგან ის მისი ტერიტორიაა. რაც შეეხება საქართველოდან ექსპორტს, საქართველოს გააჩნია ყველაზე მკაცრი ხარისხის კონტროლის სისტემა და ჩვენ საქართველოდან ექსპორტის ნაწილში აბსოლუტურად პასუხისმგებლები ვართ. თუმცა ის რომ, ჩვენს კარგ ღვინოს უშლიდეს და რეპუტაციას უფუჭებდეს დაბალი ხარისხის ღვინო, ეს ჩვენთვის რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი განგაშის სიგნალია. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უფრო მეტად ეს გადაჭარბებული განცხადებაა, რადგან ჩვენ ასეთი მონაცემები არ გვაქვს,

რუსეთი უნავთობოდ-უკუთვლა დაიწყო!

„სანავთობო ზღაპარი“, რომელშიც რუსეთი 50 წელზე მეტია, რაც ცხოვრობს, შემაშფოთებელი სისწრაფით უახლოვდება ფინალს. ძველი, საბჭოთა საბადოებიდან ნავთობის დაჩქარებული მოპოვება საბადოების დაჩქარებულ გამოფიტვას იწვევს. ამავე დროს, ახალი, მოსაპოვებლად ადვილი და იაფი ნავთობსაბადოები ჯერჯერობით არ ჩანს.

ამ ეტაპზე ყველა არსებული და აღმოჩენილი საბადო ჩართულია მოპოვებაში – განაცხადა ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას რუსეთის ბუნებრივი რესურსების მინისტრმა სერგეი დონსკომ. მისი თქმით, აღმოჩენილი საბადოებიდან გაუნაწილებელი მხოლოდ 6% რჩება.

ეს იმდენად ცოტაა, რომ სამინისტროს

უწევს მუშაობის ფორმატის შეცვლა – ბუნებრივი სიმდიდრეების განაწილების ნაცვლად, ის მხოლოდ „ადევნებს თვალს რესურსების მოპოვების ეფექტურობას“. აღსანიშნავია, რომ, 2017 წელს ახალი ნავთობსაბადოს ათვისებაზე არც ერთი აუქციონი არ გამოცხადდება.

„გასანაწილებელი არაფერი დარჩა. აღმოჩენილი ნავთობსაბადოების ფონდი ამოიწურა“, – განაცხადა ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ ევგენი კისელევმა.

„ბოლო 2 წლის განმავლობაში აღმოჩენილი ნავთობსაბადოების საშუალო წარმადობა 1, 7 მლნ. ტონაა. ეს ძალიან ცოტაა – მარტო ჩინეთს რუსეთი ყოველთვიურად 3-ჯერ მეტს აწვდის“, – ამბობს ცნობილი რუსი ექსპერტი მიხაილ კრუტიხინი. მისი თქმით, სიტუაცია გაართულა იმანაც, რომ ნავთობზე ფასების მკვეთრი ვარდნის შემდეგ დარგში ჩადებული ინვესტიციები შემცირდა.

„შეიცვალა მიდგომა. გადაწყვიტეს, რომ გაყიდონ ყველაფერი, რაც აქვთ და იმ ფასად, რაც არის. ამოქაჩონ ყველაფერი არსებული საბადოებიდან. ერთ ჭაბურღილთან ააშენონ მეორე, თუ ნავთობი მოდის“ – განაცხადა ექსპერტმა.

ნავთობის ფორსირებულმა მოპოვებამ დარგს 1987 წლიდან მაქსიმალურ მაჩვენებელზე გასვლის საშუალება მისცა (11,2 მლნ. ბარელი დღეში), თუმცა ეს მაინც საგრძნობლად აახლოვებს სანავთობო კეთილდღეობის ეპოქის დასრულებას.

„2030 წლამდე რუსეთის მინერალურსანედლეულო ბაზის ათვისების სტრატეგიის“ მიხედვით, რომელიც ბუნერბრივი რესურესების სამინისტრომ მოამზადა, დღევანდელ დონეზე ნავთობის გაყიდვის საშუალება ქვეყანას სულ რაღაც 3-4 წელიწადში ამოეწურება.

რუსეთის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ქვეყანაში არსებული ნავთონსაბადოების 70% მძიმედ მოსაპოვებელ ნავთობზე მოდის, რომლის თვითღირებულება ხმელეთზე ბარელზე 70 დოლარს აღემატება, არქტიკულ შელფზე კი – 150-ს. იმისთვის, რომ ამ ნავთობის მოპოვება გახდეს შესაძლებელი თუნდაც მინიმალურ დონეზე, საჭიროა ტექნოლიგიები, რომლებსაც რუსეთი საერთაშორისო სანქციების გამო ვერ იღებს.

კრუტიხინის აზრით, მოპოვების პიკი იქნება 2020-2022 წლები, შემდეგ კი დაიწყება ვარდნა – წელიწადში 10%-ით, ხოლო 2035 წლისთვის მოპოვება შემცირდება 2-ჯერ, დღეში 11-დან 6 მლნ. ბარელამდე. ზუსტად ამ რაოდენობით ნავთობს მოიხმარს თავად რუსეთი, შესაბამისად, ექსპორტიც უნდა შეწყდეს.

რუსეთის ეკონომიკისთვის ეს არის კოლაფსამდე უკუათვლის დასაწყისი – მიიჩნევს კარნეგი-ცენტრის ექსპერტი ანდრეი მოვჩანი.

* * *

რუსეთის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, ნავთობის ექსპორტზე ქვეყანაში შემოსული ვალუტის 26% მოდის, ამას თუ დავუმატეთ გაზი – გამოდის 60%.

რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტის 40% ნავთობის ექსპორტიდან შემოსული ფულით ივსება – ეს პირდაპირ, და თუ ჩავთვლით არაპირდაპირ ეკონომიკურ ზრდას, რომელსაც იწვევს ნავთობის და გაზის ექსპორტით შემოსული თანხა, მაშინ ეს 84%-ი იქნება.

„არაა გამორიცხული, რომ შექმნილ ფინანსურ დეფიციტს მთავრობა შეებრძოლება საბეჭდი დაზგის სრულმასშტაბიანი ჩართვით. ამავე დროს წარსულს ჩაბარდება კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, შეიზღუდება ოპერაციები უცხოური ვალუტით და შემოღებული იქნება ფასების კონტროლი. როგორ ხდება ეს რეალურ ცხოვრებაში – კარგად ჩანს ვენესუელის მაგალითზე, რომელმაც ამოწურა ნავთობის მარაგების ორი მესამედი“, – პროგნოზირებს მოვჩანი.

მისივე თქმით, რუსეთის ეკონომიკის მდგრადობის მარაგი 6-10 წელია, შემდეგ კი მოვა აუცილებელი და მკვეთრი ცვლილებების დრო იმისთვის, რომ შენარჩუნდეს ქვეყნის მთლიანობა და მართვადობა. პრობლემის სირთულეს ხაზს უსვამს ის გარემოება, რომ ნავთობზე ფასების სამმაგმა შემცირებამაც კი ვერ გადაახვევინა რუსეთს „ბენზინგასამართი სადგურის ეკონომიკის“ გზიდან.

რუსეთის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, 2016 წელს არასანავთობო-საგზაო ექსპორტი 10%-ით შემცირდა.

FINANZ.RU

თუ რამე ხდება, ჩვენ მყისიერად ვრეაგირებთ იმ იურიდიულ ჩარჩოებში, რისი საშუალებაც გვაქვს.

ჩინეთში უხარისხო ღვინო საქართველოდან ნამდვილად არ შედის. აქ უფრო სხვა მომენტია, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ხშირ შემთხვევაში ღვინო შედის სხადასხვა ქვეყნის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში, ისეთ ადგილებში, სადაც გადასახადების თავიდან არიდების მცდელობები ხდება, თუმცა ეს არ არის მნიშვნელოვანი რაოდენობა. მაგრამ მაინც, თუ ჩინეთში სხვა ქვეყნებიდან უხარისხო ქართული ღვინო შედის, ეს არის მნიშვნელოვანი დანაშაული და ამ შემთხვევაში გაერთიანებული ძალებით, იქნება ეს დიპლომატიური თუ იურიდიული საშუალებები, უნდა ვიბრძოლოთ, რათა არაკეთილსინდისიერი ქმედებები აღვკვეთოთ. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევინარჩუნოთ ხარისხი, რეპუტაცია და წარმოშობა იყოს დაცული“, – განუცხადა „კომერსანტს“ ლევან დავითაშვილმა.

კოტე ღვინიანიძე,
„კომერსანტი“

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

მ.წ. 16 თებერვალს გაზ. საქ. რესპუბლიკაში გამოცხადებულ ფასებთან შედარებით 30 %–იანი ფასკლების შემდეგ

შპს „ვარდნილჰესების კასკადი” (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), ამავე საწარმოს დირექციის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე”-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ოპელ ვექტრა	CAI-638	1990	551	50	20	10	გალი
2	ფორდ ტრანზიტი	LIK-368	1995	1655	150	65	10	გალი
3	ოპელ ვექტრა B	VNV-724	1998	1102	100	30	10	გალი
4	ა/მ კოლხა სატვირთო	A 329 PO	2000	984	100	30	10	გალი

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის” საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე”-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362

სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. №GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის” ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2017 წლის 5 აპრილის 10 საათიდან 2017 წლის 12 აპრილის 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2017 წლის 12 აპრილს, 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ვარდნილჰესების კასკადთან” შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე”-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის” ოფისი);

-„ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

-აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

– რეალიზების შემთხვევაში დღგ–ს გადახდა ან არგადახდა გათვალისწინებული იქნება ხელშკრულებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს აუქციონზე გამარჯვებული პირის გამოვლენის შემდეგ.

მანქანების სარეალიზაციო საწყისი ფასი დადგენილია ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 29 ოქტომბრის №5005303315 დასკვნით. ამ დასკვნის საფუძველზე აუქციონი გამოცხადდა 4-ჯერ, მაგრამ ქონების შეძენის მსურველთა განაცხადი არ დარეგისტრირებულა. გამომდინარე აქედან, „ვარდნილჰესების კასკადის“ დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება ბოლო ფასები შეამციროს 30%-ით და გამოაცხადოს აუქციონი და თუ ამჯერადაც არ გაიყიდა, შემდეგ შეიძლება ჩამოიწეროს და ჩაბარდეს ჯართად.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.№90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის” ოფისი, ტელ. 577 736952, 577 434493.

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ აუქციონის მომწყობი კომისია

◎ თანამშრომლობა

მემორანდუმი - სან დიეგოს უნივერსიტეტთან

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, **სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, სან დიეგოს უნივერსიტეტის დეკანმა საქართველოში კენ უოლშმა და ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ.**

მემორანდუმის მიხედვით, სამინისტრო დაეხმარება ახალგაზრდებს სპორტული ტურნირების გამართვაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წერის პოპულარიზაციას; მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მისი პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებთან მენტორობის, სტაჟირების პროგრამების მიმართულებით.

მემორანდუმის ხელმოწერას სხვა სტუმრებთან ერთად ესწრებოდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგბის ნაკრები, რომელიც კალიფორნიიდან საქართველოში ამერიკის საელჩოს მოწვევით ჩამოვიდა. მორაგბეებმა აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ამხანაგური თამაში „ლელო არენაზე“ გამართეს – კალიფორნიელმა მორაგბეებმა ქართულ სამოყვარულო კლუბ „დევებთან“ ისპარინგეს.

აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის ფარგლებში ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ გაიმართება ლექციები და პრეზენტაციები ახალგაზრდულ ბანაკებში და სხვა ღონისძიებებზე, რომლებიც მოეწყობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის უმაღლესი განათლების პროექტის ფინანსური მხარდაჭერით 2015 წელს საქართველოში ფუნქციონირებას შეუდგა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს წარმომადგენლობა. კალიფორნიის ეს წამყვანი უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ დარგებში. კურსდამთავრებულები მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: ***„ჩვენს თანამშრომლობას საინტერესო პერსპექტივა აქვს. ქართველ სპორტსმენებს საშუალება ექნებათ გამოცდილება გაუზიარონ სან დიეგოს უნივერსიტეტის სპორტსმენებს. უკვე შედგა პირველი ტესტ მატჩები. ეს თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას სტუდენტებში. გაცვლითი პროგრამები გვექნება ახალგაზრდების, მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხით. მოხალისეთა მიმართულებით აქტიურად ვიმუშავებთ და საერთო ჯამში ეს თანამშრომლობა მრავალმხრივი და სასარგებლო იქნება“.***

ბეჟან დოლიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

ჯანოს გაზაფხული

რუსეთის **პრემიერლიგის XXI ტურში მძიმე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის „სპარტაკმა“ და ჩემპიონობას კიდევ უფრო მიუახლოვდა. მასიმო კარერას გუნდმა შინ აუტსაიდერი „ორენბურგი“ მსაჯის მეხუთე დამატებულ წუთზე გატანილი ბურთით დაამარცხა - 3:2.**

არადა, „სახალხო გუნდს“ შეხვედრა მშვიდ 3 ქულამდე მარტივად მიჰყავდა, რადგან 70-ე წუთამდე 2:0 იგებდა. მეორე გოლი დიდწილად ჯანო ანანიძის დამსახურებაა, რომელმაც შესაშურად კარგად ითამაშა და რომან ზობნინს ზუსტი გადაცემა გაუკეთა, თუმცა, „ორენბურგმა“ ერთწუთიან ინტერვალში ორივე ბურთი გაქვითა. აქვე გეტყვით, რომ მეორე გოლის დროს უხეშად შეცდა მოსკოველთა მეკარე, რომელმაც ბურთი ცხვირწინ მოიგერია, თუმცა, აღნიშნულ ეპიზოდში თამაშგარე დაფიქსირდებოდა, მაგრამ ჯანო მეკარის წინ ჩარჩა ხელოვნური თამაშგარის შექმნის მცდელობისას. საბოლოოდ „სპარტაკს“ ქვინსი პრომესმა მოაგებინა.

ანანიძემ მოედანზე 76 წუთი გაატარა და ურიგოდ არ გამოიყურებოდა. Championat.com-მა ჩვენებურის თამაში 7 ქულით შეაფასა. მთელი მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატარა გიორგი ჯიქიამ, ხოლო „ორენბურგის“ რიგებში პრემიერლიგაში მეორედ ითამაშა ელგუჯა ლობჟანიძემ, რომელიც რუსულ კლუბში ზამთარში ბათუმის „დინამოდან“ გადავიდა. იგი ბრძოლაში 90-ე წუთზე ჩაერთო.

„სპარტაკს“ 21 ტურში 48 ქულა აქვს და მეორე ადგილოსან „ზენიტს“ 6 ქულით უსწრებს, ხოლო „ორენბურგი“ 16 ქულით მეთოთხმეტე პოზიციას იკავებს.

ფლორენტინო პერესი არსენ ვენგერს „რეალში“ ხედავს

არსენ ვენგერი, შესაძლოა, მადრიდის „რეალში“ გადაბარგდეს. როგორც ესპანური გამოცემა As-ი წერს, სამეფო კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა სურვილი გამოთქვა, რომ ვენგერი „რეალში“ იხილოს.

წყაროს ინფორმაციით, თუ ვენგერი სეზონის ბოლოს „არსენალს“ დატოვებს, მაშინ პერესი მზადაა ფრანგი მადრიდში გადაიბიროს, თუმცა, არა მთავარი მწვრთნელის, არამედ მენეჯერის ან სპორტული დირექტორის პოსტზე.

შეგახსენებთ, რომ არსენ ვენგერი „მეთოფეებს“ 1996 წლიდან უდგას სათავეში და კლუბთან ერთად 3-ჯერ მოიგო ინგლისის პრემიერლიგა, 5-ჯერ ინგლისის ასოციაციის თასი, 5-ჯერ სუპერთასი და ერთხელ გაიყვანა გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში, სადაც „ბარსელონასთან“ 1:2 დამარცხდა.

2018 წლიდან - შეცვლილი დროით

ჩემპიონთა **ლიგის მატჩების დაწყების დრო 2018-2019 წლების სეზონიდან შეიცვლება. ევროპული ფეხბურთის გულშემატკივარი ჯგუფურ ეტაპზე დღეში 8 თამაშს იხილავს: ორი შეხვედრა ევროპული დროით 19 საათზე დაიწყება (21 საათზე თბილისის დროით), დარჩენილი ექვსი მატჩი კი 21 საათზე (თბილისის დროით 23).**

აღნიშნული გადაწყვეტილებით უეფა იმედოვნებს, რომ ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირს მეტ გულშემატკივარს შესძენს, განსაკუთრებით აზიასა და სამხრეთ ამერიკაში, რადგან ეს ქვეყნები დროის სხვა სარტყელში არიან და მათთვის შეცვლილი დრო ბევრად მისაღები იქნება.

აქვე გეტყვით, რომ 2018-2019 წლების სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე წამყვანი საფეხბურთო ჩემპიონატებიდან (იტალია, გერმანია, ესპანეთი, ინგლისი) ოთხ-ოთხი გუნდი ითამაშებს საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

გიორგაძემ შთამბეჭდავი ლელო გაიტანა

„ოთარ გიორგაძემ შთამბეჭდავი ლელო გაიტანა“ – სწორედ ასე მოიხსენიეს ფრანგულ პრესაში ახალგაზრდა ქართველი მესამეხაზელის მიერ ესპუარების ჩემპიონატში გატანილი ლელო. მისმა „კლერმონმა“ „ლა როშელს“ უმასპინძლა და 37:21 დაამარცხა.

ესპუარების ჩემპიონატის რიგით მატჩებს, როგორც წესი, განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა, მაგრამ ამ შეხვედრას თითქმის 1000 მაყურებელი დაესწრო. პუბლიკას გაუმართლა – 7 ერთმანეთზე უკეთესი ლელო გავიდა, გიორგაძისა კი თამაშის მშვენება იყო. 21 წლის ქართველმა ბურთი მეტოქის 22-ში მიიღო, პირველივე დარტყმით ორი მოწინააღმდეგე გაზონზე დააგდო, მეორეთი - მხოლოდ ერთი, მესამედ დარტყმა უკვე ლელოს ხაზზე მოუწია, ოპონენტი არ წაქცეულა, მაგრამ წონასწორობა კი დაკარგა, ამ უკანასკნელს კიდევ ერთი ლაროშელელი დაემატა, მაგრამ ოთარმა ესენიც გადათელა. ისე გამოვიდა, რომ გიორგაძემ „ლა როშელის“ ესპუართა მესამედი აქეთ-იქით მიყარ-მოყარა და ბურთი ლელოში დაამიწა.

ცნობისთვის, „კლერმონის“ ესპუართა გუნდი ისტორიულად ყველაზე წარმატებულია საფრანგეთში, მაგრამ შარშან ფინალში „ბორდოსთან“ დამარცხდა. ესპუართა მიმდინარე ჩემპიონატის I პულს 67 ქულით „პერპინიანი“ ლიდერობს, „ბორდოს“ (სადაც ლაშა ტაბიძე სტაბილურად თამაშობს) 66 ქულა აქვს და მეორეა, ხოლო „კლერმონი“ 64-ით მე-3 პოზიციაზეა. პირველ-მეორეზე გასული გუნდები პლეი-ოფის ნახევარფინალში ავტომატურად გადიან, ხოლო კიდევ ორი ნახევარფინალისტი მესამე-მეექვსეადგილოსნებს შორის ვლინდება.

კობა კობახიძე

შარაბიძე „ოქროსთვის“ იბრძვის

გიორგი შარაბიძის „ფენი ინდუსტრი“ მაკედონიის ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს. პირველი ეტაპი დასრულდა და გუნდები ორად გაიყვნენ: ლიდერებმა ცალკე ჯგუფი შექმნეს და მედლებისთვის აგრძელებენ თამაშს, აუტსაიდერები კი ლიგაში დასარჩენად იბრძვიან.

ჩემპიონობის მაძიებელთა ჯგუფშია შარაბიძის „ფენი ინდუსტრისი“, რომელმაც პირველი მატჩი ჩაატარა და დიდი ძალისხმევით „კუმანოვოს“ 101:98 სძლია. შარაბიძემ მოედანზე მხოლოდ 7 წუთი გაატარა და ერთადერთი ორქულიანი ააცილა, აქტივში კი თითო მოხსნა-პასი ჰქონდა.

„ფენი ინდუსტრისმა“ 1 მოგებითა და 3 მარცხით ექვსგუნდიან ჯგუფში მე-3 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი დღეს სტუმრად „რაბოტნიჩკისთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

BMW მარკის მანქანები ისევ ყველაზე სახიფათოა!

2017 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების დიდი ნაწილი 18-25 წლის ახალგაზრდებზე მოდის. „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებლის გელა კვაშილავას ინფორმაციით, კვლევის „უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობები მგზავრებისთვის“ გამოიკვეთა, რომ ავარიების 40% ახალბედა მძღოლებზე მოდის.

„კომერსანტი“ დაინტერესდა ბოლო პერიოდში გახშირებული ავარიების ფონზე სადაზღვევო კომპანიებში ავტომობილების დაზღვევის მიმართულებით რა ასაკობრივი კატეგორია, რა სქესის და რა მოდელის ავტომობილებია მაღალი რისკის ჯგუფში?

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგში“ აცხადებენ, რომ ყველაზე რისკიანები 21-დან 23 წლამდე ასაკის მძღოლები არიან . ასევე ისინი, ვისაც მანქანის მართვის ერთ წელზე ნაკლები გამოცდილება აქვს. რაც შეეხება სქესს, მამაკაცები მაღალი რისკის ჯგუფში არიან, ქალები კი უფრო ნაკლებრისკიანები გახლავთ.

ავტომანქანის მოდელებში ყველაზე ნაკლებრისკიანია მაღალი გამავლობის მანქანები, ხოლო ყველაზე მაღალრისკიანია — ე.წ. კუპეები.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“ აცხადებენ, რომ მაღალი რისკის ჯგუფს 18-25 წლის ახალგაზრდა მამაკაცები მიეკუთვნებიან. მათი ინფორმაციით, ზუსტი სტატისტიკა იმისა, თუ რომელი მარკის ავტომანქანა მიეკუთვნება მაღალი რიკის ჯგუფს, არა აქვთ, თუმცა აცხადებენ, რომ ამ ასაკის ახალგაზრდა მამაკაცებს ყველაზე ხშირად BMW-ს მარკის ავტომობილები ჰყავთ.

არასამთავრობო ორგანიზაცია **„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“** ინფორმაციით, 2017 წლის იანვარ-თებერვალში, საქართველოში 905 რეგისტრირებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ორი თვის განმავლობაში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაიღუპა 84 და დაშავდა 1 277 ადამიანი. დაღუპულთა შორის 19 ქვეითია. დაშავებული ქვეითების რაოდენობა 265 -ს შეადგენს.ორ თვეში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას 5 არასრულწლოვანი დაიღუპა, 136 კი დაშავდა.

ავტოავარიის გამომწვევი წამყვანი მიზეზებია: მანევრირების წესების დარღვევა, სიჩქარის გადაჭარბება, შემხვედრ ზოლში გადასვლა, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა.

სოფო ქსოვრელი

სანთელი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს მამის

არჩილ ბერიძის

გარდაცვალების გამო.

აკადემიის სახელით აკადემიის პრეზიდენტი,
პროფესორი თეიმურაზ ბაბუნაშვილი.

მშობლები მირონ, დარეჯან ხერგიანები, დედმამიშვილები არჩილ, ქეთევან ხერგიანები, რძალი ეკა კობიაშვილი, სიძე რაფიელ ბოჭორიშვილი, შვილიშვილები გიო, დუდა, ანანო ხერგიანები, ბექა, იკა ბოჭორიშვილები მწუხარებით იუწყებიან

გიგი ხერგიანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 5 IV, ნუცუბიძის პლატო, I კვარტალი, კორპ. 18.

გამოსვენება ასათიანის ქუჩაზე მდებარე კოსმო და დამიანეს სახელობის ეკლესიიდან, 6 IV, 14 საათზე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ცნობილ მწერალს, ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ მირონ ხერგიანს შვილის

გიგი ხერგიანის

გარდაცვალების გამო.

ტურისტები და სულგაყიდული თაღლითები

ყველა მოგზაურობა ერთნაირად წარმატებული არ არის, ხშირად ტურისტები აწყდებიან თაღლითებს და მძარცველებს. ტურისტების ინფორმაციით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ისინი სხვადასხვა ტიპის თაღლითობის მსხვერპლნი ხდებიან.

ხშირ შემთხვევებში დამნაშავეები მუშაობენ წყვილებად — ერთს გადააქვს ყურადღება, მეორე კი ამ დროს რაღაცას იპარავს. მაგალითად, ერთი ესვრის ტურისტს ჩიტის ან ძაღლის ნაკელს და სთავაზობს დახმარებს, მაგალითად, აძლევს მას პირსახოცს. ქაოსში დაზარალებული კარგავს საფულეს.

ერთ-ერთი გამოცდილი მოგზაური ბრაზილიის ქალაქ სანპაულოში გადამხდარ ამბავს ასე იხსენებს: **„გავჩერდი სწრაფი კვების ჯიხურთან და სანამ მივირთმევდი სენდვიჩს, გვერდით დამიდგნენ მამაკაცი და ქალი. შემდეგ ქალმა თეფშიდან ნარჩენი ჩემს პერანგზე გადმოღვარა და დაიწყო ჩემი პერაგნის გასუფთავება. თანაც ისე მომიახლოვდა, რომ გავაპროტესტე კიდეც. სანამ ჩემი ყურადღება ამ ქალბატონზე იყო გადართული, მამაკაცმა ჩემი საფულე წაიღო, მოიპარა“.**

ერთი ტურისტი ჰყვება ძარცვის ხერხზე, როდესაც პირი ქით, მოგზაურს სთხოვენ დახმარებას. მაგალითად, მსხვერპლი ზის ჩანთაზე, ამ დროს მძარცველი გაივლის გვერდით და მას ვითომ შემთხვევით უვარდება გასაღები, ყურადღებიანი ტურისტი ჩქარობს მისთვის დაკარგული ნივთის დაბრუნებას და ტოვებს ჩანთას უპატრონოდ. ასეთი ტაქტიკა ხშირად არის ძალიან ეფექტური, რადგანაც ყველას სურს, იყოს კეთილი.

არსებობს თაღლითობის ისეთი გავრცელებული სქემა, როგორც „სპეკულაცია სიხარბეზე“. როდესაც ტურისტს სთავაზობენ სერვისს, რომელიც ზედმეტად კარგია იმისთვის, რომ იყოს რეალობა — ეს შეიძლება იყო შოუზე უფასო დასწრება, ან რამე სამკაული დაკარგული ჩანთიდან. სანამ ტურისტი ცდილობს, გადაარწმუნოს მჩუქებელი, მის საფულეს ეპატრონება თანამზრახველი.

კიდევ ერთი ტურისტი რიოდე-ჟანეიროში მომხდარ ფაქტს იხსენებს.

„სავსე ავტობუსში გავიგონე დავარდნილი ხურდების ხმა და ადამიანი, რომელიც ჩემს გვერდით იდგა, ჩაიცუცქა და ჩამეჭიდა ფეხზე ისე ძლიერად, თითქოს ეს იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ძლივს მოვიშორე, ის ადგა ისე, რომ მე ვერ შევამჩნიე მისი სახე. ისე გამიხარდა რომ მომცილდა, ვერ შევამჩნიე როგორ ამომაცალეს მთელი ფული“.

მძარცველები ხშირად დარაჯობენ ტურისტებს სასტუმროებში. აეროპორტში გამგზავრების დროს მათ შეუძლიათ, იხეირონ იმით, რომ ტურისტები გადართულები არიან სხვა საკითხებზე და კარგავენ სიფრთხილეს. ამ დროს დამნაშავეები ესაკუთრებიან მათ ბარგს — ამისთვის საჭიროა, მხოლოდ მოაჩვენონ ტურისტებს თავი სასტუმროს თანამშრომლებად.

სარისკოა ასევე შემთხვევითი მეგობრობა. მაგალითად, ჩინელი გოგონების ჯგუფი სთხოვს ტურისტებს ერთობლივი ფოტოს გადაღებას, ეპატიჟება მათ ძვირ ჩაის სახლში, სადაც მსხვერპლები იხდიან ზედმეტს. ფულის ნაწილი რჩება გოგონებს.

ტურისტები თაღლითობის მსხვერპლნი ხდებიან ვალუტის გადახურდავების დროსაც.

„ჩვენ ვიყავით ორნი და ყურადღებით ვუყურებდით, როგორ ითვლიდა გადამცვლელი პუნქტის თანამშრომელი ფულს სპეციალური ელექტონული მთვლელით. სასტუმროში დაბრუნების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ფულის ნაწილი გაქრა. ასე მომატყუეს. მერე ერთ-ერთმა ოფიციანტმა მითხრა, რომ ელექტრომთვლელები სპეციალურად ისე არის დაყენებული, რომ თაღლითებს თანხის ნაწილის მითვისების საშუალებას აძლევს“.

სქემა გამოვლინდა და ტურისტებმა შეძლეს ფულის დაბრუნება.

ნებისმიერ ქალაქში ტურისტმა უნდა შეინარჩუნოს სიფრთხილე, მაშინაც კი, როდესაც არანაირი საფრთხე არ ჩანს. ისეირნეთ, დატკბით ხედებით და არქიტექტურით, თუმცა არ დაგავიწყდეთ — შეიძლება თქვენ უკვე გახდით ვიღაცის სამიზნე...

ჯაბა ძურდაძე

moya-planeta.ru

უფასო ელექტრონული წიგნები „საბასგან“

პროექტის „ქალაქი ბიბლიოთეკა“ განხორციელება დაიწყო - დედაქალაქის 20 ქუჩასა და 6 პარკში უფასო ელექტრონული წიგნები „საბასგან“ უკვე ხელმისაწვდომია.

უკვე შესაძლებელია უფასო წიგნების ჩამოტვირთვა ვაჟა-ფშაველას, რუსთაველის, ჭავჭავაძის გამზირებზე, გიორგი ლეონიძის, ივანე მაჩაბლის, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩებზე, სულ 20 ქუჩაზე ქალაქის მასშტაბით, რომლებსაც მალე კიდევ 30 მწერლის სახელობის ქუჩა დაემატება. ამ ქუჩებზე დამონტაჟებულ ქუჩის მანიშნებლებზე დატანილი QR კოდების საშუალებით შესაძლებელი იქნება ჩამოტვირთოთ იმ მწერლის ლიტერატურა, რომლის სახელობის ქუჩაზეც დგახართ. მრავალფეროვანი ბიბლიოთეკა იქნება ასევე უფასოდ ხელმისაწვდომი ქალაქის ბაღებსა და სკვერებში. უკვე დამონტაჟდა „საბას“ ელექტრონული ბიბლიოთეკები დედა ენის ბაღში, რიყის პარკში, გეგეშიძის ბაღში, მზიურსა და ჯანო კახიძის პარკში. პარკებში დამონტაჟებულ სტენდებზე „საბა“ მრავალფეროვან ლიტერატურულ არჩევანს გთავაზობთ.

სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტს „ქალაქი ბიბლიოთეკა“ ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, თბილისის მერიასთან და პრეზიდენტის ფონდთან ერთად, ახორციელებს. სულ პროექტის ფარგლებში 300-მდე სტენდი დაიდგმება.

ჩამოტვირთვის პროცედურა მარტივია. ტელეფონის QR კოდთან მიახლოებით წიგნი თქვენს სმარტფონში გადმოინაცვლებს და მის წაკითხვას აპლიკაცია SABA READER-ის საშუალებით ნებისმიერ ადგილზე და სიტუაციაში შეძლებთ.

250 წლის წიფელი დენდროლოგიურ პარკში გადატანისას შუაზე გადადგყდა

გურიის მოამბის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის წიფელი, რომელიც ნატანებელი პედაგოგისგან 15 ათას ლარად შეიძინა, ტრასნპორტირებისას გადატყდა. 250 წლის წიფელს, სავარაუდოდ, დენდროლოგიურ პარკში აღარ გადაიტანენ.

„ხე შუაზე გადატყდა, ტოტებიც დატყდა, ალბათ აღარ წაიღებენ პარკში. მძიმე ტექნიკამ, დიდი ხანი იწვალა გზაზე გამოსვლამდე, მაგრამ ხე გადმოვარდა, ტოტები დატყდა და ერთ-ერთი ადგილობრივის ეზოში გადავარდა. სურმავების მეზობლის ყანაში გაიყვანეს ეს დროებითი გზა, ამაში ცალკე 5 ათასი ლარი გადაიხადა. ხე 15 ათასად იყიდა და დარჩა ახლა საშეშე მასალად პატრონს. დრუჟბებით ხერხავენ“ — უყვებიან გურიის მოამბეს, რომელსაც ადგილზე გადაღებული ფოტოც მიაწოდეს.

გამოცემის ცნობით, წიფლის სანახავად ბიძინა ივანიშვილი პირადად მივიდა.

◎ გამოფენა

„ვეფხვის“ ძალის წყლის ნაკადი

უალრესად საგულისხმო სანახაობას სთავაზობს ამ დღეებში მნახველებს საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი: 31 მარტს გაიხსნა და 12 აპრილამდე გასტანს მეტად საგულისხმო გამოფენა „მალშტრემი – ფრანკ მარკი, გერმანული ექსპრესიონიზმი და მოდერნიზმი საქართველოში“, რომლის გამართვა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი.

„მალშტრემი“ – ესაა ძველი ჰოლანდიური, შინაარსით ექსპრესიონისტული სიტყვა, რომელიც „წყლის ძლიერ დინებას“ ნიშნავს. წყლის მძლავრი ჭავლი კი დინებაში ერთიანად ითრევს ყველაფერს, რასაც მისწვდება და ნაფლეთებად აქცევს ყოველივეს. სწორედ ეს ნიშანია ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც პირველი მსოფლიო ომამდელი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანული განშტოების უპირველესი თავისებაა. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენებზე დაკვირვებელს ყურადღება ხილული სინამდვილიდან ძლიერ შინაგან განცდაზე გადააქვს.

ხელოვნების სასახლეში ექსპოზიცია საგამოფენო სივრცეში ექსპრესიონიზმის ერთგვარი მულტიდისციპლინარული კვლევის ცდაა. მასში ჩართულია ამ მიმდინარეობის გამოჩენილი წარმომადგენლების – **ვასილი კანდინსკის, ირაკლი გამრეკელის, კირილე ზდანევიჩის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ბენო გორდეზიანის, პეტრე ოცხელის, ელენე ახვლედიანისა** და სხვათა ნამუშევრები. გამოფენილი ტილოები თეატრისა და კინოს, ლიტერატურასა და მხატვრობის ერთიანი ძლიერი ტალღის შესახებ მოგვითხრობენ, რომელიც მოდერნიზმის ეპოქამ წარმოშვა. გამოფენის მნახველები თავადვე დარწმუნდებიან, რომ მოდერნიზმის ეპოქის ქართული ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთი მძლავრი მკვებავი წყარო სწორედ გერმანული ექსპრესიონიზმია.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ გამოფენას ერთგვარი იმპულსი ლამის საუკუნის წინათ, 1926 წელს თბილისში სულ ახალგაზრდა მწერლის **გრიგოლ რობაქიძის** მცირე ზომის წიგნმა მისცა, რომელშიც სამი დრამატული ნაწარმოები – „ლონდა“, „მალშტრემი“ და „ლამარა“ შევიდა. წიგნის გარეკანი კი გერმანელი მხატვრის **ფრანც მარკის** ცნობილი ნახატით „ვეფხვითაა“ გაფორმებული.

„მსხვერპლის დანახვაზე პანტერა ჩასაფრდება. მსხვერპლს რომ უცქერის, ძალა ემატება და მისი ძალის დაძაბულობა მისივე ნახტომის სიგრძეში აისახება. მხატვრული ფორმა, მისი სტილი, სწორედ დაძაბულობის შედეგად იქმნება“, – წერს 1912 წლის ალმანახ „ლურჯ მხედარში“ დასტამბულ თავის „ნიღბებში“ ოგიუსტ მაკე. სწორედ ამ შინაგანი დაძაბულობის ძალით შეიტანა განსაკუთრებული წვლილი ქართული თეატრის მოდერნიზებასა და, როგორც შედეგი, საყოველთაო აღიარებაში გრიგოლ რობაქიძემ გასული საუკუნის 20-იან წლებში დაწერილი ამ სამი დრამით. მაშინ სამივე პიესა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა დადგეს, სპექტაკლები კი მხატვრულად სწორედ ამჟამინდელ გამოფენაზე წარმოდგენილმა ფერმწერმა ლადო გუდიაშვილმა, კირილე ზდანევიჩმა და ირაკლი გამრეკელმა გააფორმეს. იქნებ ამიტომაცაა, რომ სწორედ სცენოგრაფია იყო ათწლეულების მანძილზე ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დარგი.





ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გრეისი ჭორებს იგერიებს

2-3 თვე იქნება, რაც ლათინური ამერიკის არაერთი „ყვითელი“ ჟურნალი წერს ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელის დანი ალვეშისა და მისივე თანამემამულე მოდელის გრეისი კარვალიოს შესაძლო რომანის შესახებ. პაპარაცებს ეს წყვილი ერთადაც დაუნახავთ და სალაპარაკოც გასჩენიათ.

თავიდან დანი ალვეში და გრეისი კარვალიო საერთოდ არ აკეთებდნენ ამ ფაქტზე კომენტარს და მრავლისმთქმელი დუმილით პასუხობდნენ ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს. თუმცა, როდესაც ჟურნალისტებმაც გული გაანებეს, სიჩუმე ისევ გრეისმა დაარღვია.

„მე მესმის, რომ მედია სკანდალებზე ნადირობს, მაგრამ ამჯერად მათ გული უნდა დავწყვიტო და განვაცხადო, რომ ჩემსა და დანიელს შორის არაფერი მომხდარა“ – ირწმუნება მშვენიერი გრეისი, რომელიც ბრაზილიელ მოდელებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველადაა მიჩნეული. სამართლიანადაც!

როსტომ რაჭველიშვილი

პოლანსკის წინააღმდეგ საქმე არ დახურეს

რომან პოლანსკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ დაიხურება. შესაბამისი გადაწყვეტილება ლოს ანჯელესის სასამართლომ მიიღო. მანამდე რეჟისორის ადვოკატებმა სასამართლოში საქმის დახურვაზე შუამდგომლობა დააყენეს. 83 წლის მსახიობის ექსტრადიციას შეერთებული შტატები 40 წლის წინათ ჩადენილი დანაშაულის გამო ითხოვს. მას ბრალი არასრულწლოვნის გაუპატიურებაში ედება.

ჰარისონ ფორდი სასამართლოს წინაშე არ წარსდგება

ჰარისონ ფორდს ავიაინციდენტის გამო არ დასჯიან. საქმე მსახიობის წინააღმდეგ ამ დრომდე არ აღძრულა. ინციდენტი კალიფორნიაში თებერვალში მოხდა. ჯონ უეინის აეროპორტში მსუბუქძრავიანი თვითმფრინავით დაშვებისას მან სამგზავრო თვითმფრინავს რამდენიმე მეტრში ჩაუარა. ავიამოყვარულ მსახიობს მარცხი 2015 წელსაც შეემთხვა, როდესაც მისი თვითმფრინავი სანტა-მონიკას რაიონში გოლფის მოედანზე ჩამოვარდა. მსახიობი დაღუპვას გადაურჩა.

ტოკიოში ალუბლები აყვავდა

იაპონიაში გაზაფხულის დადგომას აღნიშნავენ. ტოკიოს რეკრეაციულ პარკში საკურა აყვავდა. ადგილობრივებმა პარკს ოჯახებთან ერთად მიაშურეს. საკურა იაპონური კულტურის ერთ-ერთ სიმბოლოდ ითვლება. ალუბლების ყვავილობა ორ კვირამდე გრძელდება. საგაზაფხულო ფესტივალი ოფიციალურად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღინიშნება.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4354; ევრო - 2.5954;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0438;
100 რუბლი - 4.3238; თურქული ლირა - 0.6686;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4149;
1000 სომხური დრამი - 5.0401.

ამინდი 5 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	–5,	დღე	+21
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+24
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge